



|| ფასი 25 კპკ. || ინაგრიც 25 || 1925 წ. № 3 ||



გიორგი შვრეტელი (1842—1900)

გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო

მ. თაბიძის ნახატიდან.

(იხ. ამავე ნომერში ივ. გომართლის წერილი და კ. თავართქილაძის მოკონება)

**შინაარსი:** მეთაური—ცეცხლი ამირანისა; ენგი—ლენინი და ხელოვნება; ივ. გომართელი—გიორგი წერეთელი; მარმარელი—ეროვნული თეატრისათვის; გიშერა—რა თავი ავიგდე! ელდენოორ კანდელაკი—სახე გვირილებში; ვ. ხორეთელი—მე წინ მივიდივარ; იოსებ არამთიელი—ორი დღესასწაული; ვარ. რუხაძე—პირველი მსხვერპლი (პოემა, გაგრძელება); არნო ონელი—სწული ქალი; ვანდერ დახელი—ელვისა; კ. თავართქილაძე—ერთობის მკადამბელი; შალვა გომართელი—პროლეტარული თეატრი; კენტატარი—თეატრები პროვინციაში; გრ. კუნჭულია—საზოგადო მოღვაწენი; დ. კ. ერისთავი; კ. პ.—რუსული კინო; სათეატრო მიმოხილვა, ქრონიკა და სხვ.

# მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ



## „თეატრი და ცხოვრება“-ზე



1910 წ.

XV წელიწადი გამოცემისა XV

1925 წ.

„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერი მიიღებენ: გარდა ჟურნალის,

ყოველ სამ თვეში ერთჯერ უფასო პრემიას—წელიწადში ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“-ს რომელშიაც დაბეჭდილი იქნება სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.

„თეატრი და ცხოვრება“ გავზავნი, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—10 მან., ხელის მოსაწერი ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დრ.-ს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მაკათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში რუსთაველის პრ. № 34, ტფილისი, რუსთაველის პრ. 34. რედ. „თეატრი და ცხოვრება“—რედაქცია ღიაა: დღილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

აპსუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

# მოითხოვით გუნებრივი კახური ღვინო კოოპერატიული

საზოგადოება

## „კახეთი“-სა არს. 1895წ.

ყველა პირველ-ხარისხიან რესტორან-სასადილოებში და გასტრონომულ მაღაზიებში იყიდება მთავარ-საწყობის ფასებში

### ღვინო გმულდ კახური

თეთრი „პარღანანი“ № 2.

„გრამლინდორი“ განსაკუთრ. დაკვეთა „ა“.

„წარღვი“ განსაკუთრებული დაკვეთა „ბ“.

წითელი „პარღანი“ № 2.

„გრამლინდორი“ განსაკუთრ. დაკვეთა „ა“.

„წმუღანი“ განსაკუთრებული დაკვეთა „ბ“.

ვერძ „წმუღანი“ და „მუღანი“.

ტკბილი „პარღანი“ და „პორტინი“.

ბაგმეობა, მთავარი კანტორა და მთავარი საწყობი

ტფილისი, ვოვლის ქ. № 63 ტელეფონი 4-65

დასამზადებელი პუნქტები და საწყობები პარღანანში და თელავში (კახეთი).

ბანკოვნიშობანი: ბაქოში, ბათუმში და საქართველოს მნიშვნელოვან პუნქტებში.

წარმომადგენლობა: მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, პიატერჰორსკში და სხვა მნიშვნელოვან პუნქტებში.

# მ ც ი რ ე თ ე ა ტ რ ი

(რუსთავ. თეატრის პირ.) პარასეჟს ვი ინაზარს

ქართულ ხალგაზრდა ხელოვანთა ჟურ. „სომხანაშულები“-ს ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი ესთეტიური სადამო. 1. სიტყვა, 2 მუსიკა, 3 დეკლამაცია, 4 პოეტები.

სალამოს მომწეობი კოლეგია „სომხანაშულები“-ს. არ დარჩეთ არც ერთი. ყველა ამ სალამოზე!!



1910—1925  
 ფელიწადი XV  
 № 3  
 (360)

ფასი 25 კაპ.

„თეატრი და სხვა რამეები“  
 ყოველკვირეული ხუროთმოძღვრების  
 კურსალი.  
 რედაქციის მისამართი: რუსთავე-  
 ლის პრ. № 34, დარბაზი № 761.  
 ფოსტით: ტფილისი, რედაქცია  
 „ოქატრი და ცხოვრება“,  
 იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ.

ი ა ნ ი ს 25

გამოცემა 1925 წ.

### ცეცხლი ამირანისა

ეს ის ცეცხლია, პრომეთემ რომ ღმერთებს მოსტაცა ადამიანთა საკეთილდღეოდ:

ის უხილავი ძალი, ხელოვნების შინაგან სითბოს რომ ჰქმნის და ადამიანთა მოდგმას სულიერად ამაღლებს.

ღვივის-ღა ამ ჟამად ე. წ. ხელოვანთა შორის ეს ცეცხლი?

დღეს, როდესაც თვით შრომელი ხალხი შეიქნა თავის ბედის მესაკე, უმეტეს ხელოვნება უნდა მიუძღოდეს მას ახალ-ახალ გამარჯვებისა და სრულქმნისაკენ.

ამირანის ცეცხლის ერთი პირველთაგანი კერა — თეატრი — დღეს დიდს ბედისწერის ქილილშია, სულისკვეთებაში.

საერთო მიზეზებს სათავესაც ემატება.

ბევრ ადგილას სასცენო საქმიანობის ირგვლივ პირადი ყინით გატაცებულნი, კერძო გამოარჩენის მოატროვანელები ფუსფუსებენ: ობობოდებულ მსწამსს ვერ განშორებიან, მეორენი ვითომდა „ახალით“ გატაცებულნი ცხოვრების სინამდვილეს სცილდებიან. ერთგან რომ ხელოვნებისა მხოლოდ მხროლავი ბოლია, მეორეგან — უსიამო პრიალა ალი, ერთგან რომ ჯღან-ჯღანი, დახვეწებული მორთულობა, ერთ-ფეროვნება თვალსა და სმენას დაიკნობს, — მეორეგან ყოველად შეუფერებელი სანახაობა გაგაოცებს, — ფიქრობ და ვერ მიხვდარხარ მის დანიშნულებას:

ცეცხლი ანთა — ვერ-კი თბები, ომხივარიით სული გეხუთება, სიცივით-კი იკრუნჩხები...

ერთერთს ჩვენს წინა წერილში ვსთქვით, რომ საკითხია „კარგი რეპერტუარი ხელოვნურ და-დგმაში“.

რას ნიშნავს ეს? — აი, რას: ძირეულად უნდა გადახალისდეს ჩვენი თეატრალური საქმიანობა: მუდამ ძველის ცოხნა — ერთ ადგილის უქმი ტყეპნაა. თანამედროვე გაუზუზუბებული სახელოვნო ცხოვრება მოითხოვს არა თუ ამირანის ცეცხლს, არამედ ცეცხლის ფრთოვან რაშებით წინსრობოლას, მძლავრ გაქანებას, განახლებას.

მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს ცხოვრების სინამდვილეს მოეწყდეთ, ჩვენი ყოფობის ვითარება არ აესახოს.

დიდი ხანია ცეცხლს მივეციტ ყოველივე ჟამ-გადასული, უსარგებლო, რაც სულს გვიხუთავდა, და მთელის არსებით ახალის საძირკვლის განმტკიცებას ვესწრადებით. ხოლო ამ მუშაობის დროს უტყველად უნდა ვისარგებლოთ წინაპართა უკვდავ საგანძურით, რაც ჩვენ გუშინ ძვირფასი შეგვიქმნია, და მთელი შრომითი ხალხის საკვირებითაც, რომ ხელოვნების ტაძარში მუდამ ჩაუქრობლად დღეოდეს ცეცხლი ამირანისა, ადამიანთა სულისა და გულის მოსახებლად!..

იოსებ იმედაშვილი.

### ლენინი და ხელოვნება

ლენინს არ დაუწერია არც ერთი სპეციალური წერილი ხელოვნებაზე. არც ჰქონია შემთხვევა განსაკუთრებით შეხებოდა ამ თემას.

ეს გასაგებია. რუსეთის სოციალურმა რევოლუციამ საშინელი პრობლემები დაუყენა წინ „ოქტომბრის“ ავტორის. ლენინის მთელი ენერჯია უმეტესად გადაიყოლა პოლიტიკური ცხოვრების დღეობა.

მაგრამ, მიუხედავად ამის, ლენინი ასწრებდა ყველაფერზე თავისი სიტყვის თქმას. ხელოვნების შესახებ მან დაგვიტოვა თავისი შეხედულების რაოდენიმე ფორმულა.

ლა, როგორც ყოველთვის, აქაც ყველაფერი მზესავით ცხადია. მას არ უყვარდა დეკლარაციული სიმჩაქე აზრის და დოქტრინალური გაუგებრობის კოინციდენტი.

ხელოვნების პრინციპის გათავისუფლების დროს, ლენინი გამოდის თავისი ზოგადი ფილოსოფიური და პოლიტიკური სოფლმშენებლობიდან.

„ხელოვნება ეკუთვნის ხალხს!“—ასეთი იყო მისი პირველი ფორმულა.

1920 წ. კლარა ცეტკინას წინაშე მან სთქვა თავისი ლიტერატურული მრწამსი: „მე არ ძალმიძს ჩავთვალო ექსპრესიონიზმის, ფუტურზიმის, კუბიზმის და სხვა „იზმები“-ს ნაწარმოებები მხატვრული გენიის უშაღლეს გამოხატულებათ. მე ისინი არ მესმის. მე მთავან არავითარ სიხარულს არ ვგრძნობ...“

ლენინის მეფლის გადმოცემით, ყველაზე ძლიერ რუსეთის პოეტებში ლენინს უყვარდა პუშკინი და ნეკრასოვი. სოსნოვსკი სწერს ამის შესახებ: არაფერი არაა საკვირველი იმაში, რომ მემამოხე და უდიდესი აღმშენებელი ლენინი სიხარულს ჰპოულობდა კამერ-იუნკერის პუშკინის ლექსებში. „ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, რისთვის უყვარდა პუშკინი ლენინს. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ პუშკინი კუთვლით არის ნათელი და უბრალო“.

აქ სიხარულს ლენინის შეხედულების პრინციპალური ხაზი. ხელოვნება—მასიურ თვითშემეცნების განვითარების იდეოლოგიური იარაღია. ძველი არისტოკრატიული ხელოვნება ხასიათდებოდა ერთი პრინციპით, ეს იყო—ხელოვნება რჩეული ადამიანების. პროლეტარული კულტურა ასეთი გზებით ვერ იფიქს. ეს იქნებოდა პროლეტარული მოძრაობის საფუძვლის შერყევა. თანამედროვეობამ უნდა გადალახოს სახეობრივ ინდივიდუალიზმს და „რჩეული პირების“ იდეოლოგია კოლექტიური შემეცნებით შესცვალოს.

ხელოვნება ერთერთი სახეა საერთო იდეოლოგიუ-

რი შემოქმედების. ცხადია, აქ იგივე გზებია და მიზნები, როგორც საერთო კულტურულ ცხოვრებაში.

ლენინის მიდგომა ხელოვნების საკითხებისადმი წმინდა რევოლუციონურ-მარქსისტულია.

საუბრეობრივ, ოქტომბრის რევოლუციის ქარიზმალი არ აძლევდა დროს და საშუალებას ლენინს ამ საკითხებზე უფრო ბევრი ეწერა და ეთქვა.

მაგრამ ცხადი კია, ლენინი განიცდიდა ხელოვნების მზიურ მხურვალეებას და მისი შემეცნების წყურვილს.

კარლ მარქსი სწერდა ლექსებს. „კაპიტალის“ ავტორისათვის არ იყო უცხო ლირიული ტონი საყვარელი ჯენინის დასახატურებლად. ენგელსის პოეტური აღმაფერება გაცილებით დიდი ჰორიზონტის იყო.

მარქსიზმის პირველმა ავტორებმა ფიზიოლოგიურად გადასცეს თავის ჩამომავლობას პოეტური შემეცნების მზე და სიმხურვალე.

ლენინის პატარა სტრიქონები ხელოვნებაზე ბერის მეტყველია და საგულსისმიერო. მისი პირველი ფორმულა: „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს!“—დარჩება ოქტომბრის ისტორიაში იდეოლოგიური დირიჟორობის ადგილზე.

მაგრამ ლენინს არ ავიწყებდებოდა დიდი ღირებულება წარსული ხელოვნების. „რატომ ვესურს ჩვენ ზოგი შევავტოთ იმ ქუმპარიტ მშენებლებას, რომელც გამოავადგება შემდეგ განვითარების გამოსავალ პუნქტად. მხოლოდ იმისთვის, რომ ის „ძველია“ ამზობს იგი 1920 წ. კლარა ცეტკინისადმი თქმულ სიტყვაში.

არც მიღებაა საჭირო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ახალია“.

ჯანსიერი ისტორიული მემკვიდრეობა ასაზრდოებს ყოველ მოვლენას საკაცობრიო ცხოვრებაში.

ხელოვნება ვერ ასცდება ამ გზას. ლენინი მოგვიწოდებს აქეთვე.

ენგი

## ბ ი ლ რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

ოცდა ხუთი წელიწადი შესრულდა რაც გიორგი წერეთელი გარდაიცვალა.

როგორც ჩვენი მწერლობის, ისე ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გიორგი წერეთელი მეტად ოგალსანიო პიროვნება და დიდი ღვაწლიც მიუძღვის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი და სრავალფეროვანია, მაგრამ მკითხველი საზოგადოება მას იცნობს უფრო როგორც ბელეტრისტს და, მართლაც, ამ დარგში არის ის ძლიერი და ორიგინალური.

ყოველი ბელეტრისტი, ისე როგორც ყოველი მწერალი, შემოქმედების დროს იმყოფება თავისი მსოფლმხედველობის ზეგავლენის ქვეშ; როგორც არის საერთოდ მისი მსოფლმხედველობა, იმგვარივეა მისი შემოქმედება.

თუ იცნობთ მწერალს ამ მხრივ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ, თუ როგორი იქნება დედაბარი მისი შემოქმედებისა.

როდესაც გიორგი წერეთელის ბელეტრისტული ნიჭი გაიშალა, ჩვენი მოწინავე საზოგადოების აზროვნების ფოკუსი ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძე დიდი ნიჭისა და მტკიცე ხასიათის პიროვნება იყო. უკეთ რომ ვსთქვათ, ილია ჭავჭავაძეში ორი პიროვნება იყო: ერთი პოეტი, მეორე—საზოგადო მოღვაწე. მათ შორის დიდი განსხვავება. ილია პოეტი უარყოფა ილია საზოგადო მოღვაწის; ილია საზოგადო მოღვაწე უარყოფა ილია პოეტის.

მწერლობის ასპარეზზე ილია გამოვიდა ბრძოლის საყვირით. წარჩინებული წოდება გამოაცხადა ქართველი ერის მეტხოცადელ და „ღარიბთ ერთობა“ დააწერა თავის დრომზე.

ბრძოლა წარჩინებული წოდების წინააღმდეგ და „ღარიბთ ერთობის“ დაცვა,—აი რა გამოაცხადა მან ახალთაობის მიზნად გრიგოლ ორბელიანთან კამათის დროს.

გვიდა ხანი და ილია ჭავჭავაძე სწორეთ ამ წარჩინებულმა წოდებამ აირჩია თავის ბელადად.

ბრძოლის საყვირი მაშინ ილიამ უუაჯგოდ და იწყო წოდებათ თანხმობისა და სოლიდარობის ქადაგება.

ჩვენი ყველაზე უდიდესი საქმე არის ჩვენი დაცემული ფინაობის აღდგენა. ყველა ამ საქმეს უნდა ვესა-

ხუროთ და ერთმანეთს ძმურად მივცეთ ხელი. დაახლოე-  
ბით ასეთი ღრძის გარეშემო ტრიალებდა მაშინ ილია  
ჭეჭვებამის მთელი მსჯელობა.

არა ბრძოლა, არამედ მორიგება და თანხმობა და-  
ცემული ეროვნული ვინაობის აღსადგენად. მეერ წარჩი-  
ნებულ წოდებასა და გლეხობას შორის რომ ხილია ჩატე-  
ხილი? ეს ხილი უნდა აღადგინოს წარჩინებული წოდების  
შეგენებასა და სინიდისმა, რასაც ილია მხატვრულად უწო-  
დებს ცრემლიან ცოდნას „ოთარაანო ქვერვის“.

ილია სასტიკად ებრძოდა ყველას, ვიკი კი წინააღ-  
მდეგი იყო „ჩვენი დაცემული ვინაობის“ ასეთის გზითა  
და საშუალებით აღდგენისა.

კლასთა ბრძოლას ილია ერის დამღუპველად სთელი-  
და, ამ ბრძოლის აუცილებლობას და ეროვნული ცხოვ-  
რების განვითარებას ამ გზით ის სრულებით უარსჰყოფდა.

სწორედ ამ ხანებში გაიფუჭრქნა გიორგი წვერთე-  
ლის ბელეტრისტული ნიჭი და მისი შეხედულება ძირია-  
ნად ეწინააღმდეგებოდა ილია ჭეჭვებამის მოძღვრებას.

გიორგი წვერთელი იყო რეალისტი ბელეტრისტი-  
კაში. ის ვაჰყვა იმავე გზას, რომელზედაც მოღვაწეობდნენ  
ქონქაძე და არდაზანი და ღრმად ჩაიხენდა ჩვენი ცხოვ-  
რების სინამდვილეში.

რა ამოკითხვა ბელეტრისტმა ამ ცხოვრებაში? წო-  
დებრივი ურთიერთობა ირდევია და ჩნდებიან კლასები,  
რომლებიც იკაებენ ცხოვრებაში წოდებით ადგილს. მა-  
შასადამე ცხოვრება ერთ დონეზე არ არის გაჩერებული,  
არამედ ის მოძრაობს, იცვლება და წინ მიდის. ასეთი  
იცვლენობა და წინმსწავლულობის დროს ერთი კლასი  
ეცლება და გზას უთმობს მეორეს. წარჩინებული წოდება  
დღეიანასს განიცდის, გადაგვიარებს და წოდებრივად  
გადაშენების გზაზე დაეჭანება. ეს გადაგვიარება წარჩინე-  
ბული წოდებისა გიორგი წვერთელს საუცხოვოთ აქვს  
დახატული.

ვინ იქერს წარჩინებული წოდების ადგილს? ამის  
პასუხს ჩვენ ვხედავთ „პირველ ნაბიჯში“. ერის ცხოვ-  
რებაში შემოჭრილია ახალი კლასი ბურჟუაზია, რომელიც  
გაბედულად, მტკიცედ და დაუზოგავად მიისწრაფის წინ  
თავისი მიზნების განსახორციელებლად. თუ თავად აზნაუ-  
რული წოდება ანადვურებდა გლეხობის კეთილდღეობას,  
უფრო სასტიკი და უღმობელი მტერია მშრომელი ხალ-  
ხისა ახლად მოგლიწნებული ბურჟუაზია.

აქედან თავისთავად ცხადია დასკვნა: მშრომელმა  
ხალხმა სხნა უნდა ეძიოს სხვაგან, სხვაგვარ საზოგადოებ-  
რივ წყობილებაში.

ასეთი დასკვნა გიორგი წვერთელს არ გაუკეთებია,  
რადგანაც აღარ დასცალდა, მაგრამ ეს თავის თავად გა-  
მომდინარეობს მთელი მისი ბელეტრისტიკიდან.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მან საკმაოდ  
მოიკეთა და უკვე ოცნებობდა თავისი მომავალი მუშაო-  
ბის შესახებ, რაზედაც პირადად ჩემთვის გაუზიარებია  
მის თავისი შეხედულება. მას დაწყებული ჰქონდა დიდი  
რომანი, რომლის პირველ ნაწილში კეთილდღეობის  
სახით დახატული ჰქონდა თავად აზნაურული წყობილება  
და ბატონ-გებრი ურთიერთობა. მეორე ნაწილში უნდა  
გაეშალა ბურჟუაზიის ცხოვრება.

— „მესამე ნაწილში მუშა ხალხს გამოვიყვან. ის მოს-  
პობს ბაკურაძეებსაც, ბურჟუაზიასაც და დამყარებს სრუ-

ლებით ახალ ცხოვრებას“. თვალზე-გაბრწყინებული მე-  
საუბრეობა გარდაცვალებამდე ორი კვირის წინით;—  
„მართალია, დღევანდელ პირადადში ცენზორი მესამე ნა-  
წილს არ გაუშვებს, მაგრამ მე დავწერ და იმას დაუდგე-  
ბა ალბად თავისი დროყო“. თანვე დასძინა.

თავისი განზრახვის განხორციელება აღარ დასცალ-  
და: ერთბაშად გაუარესდა მისი მდგომარეობა, ისევ ჩა-  
ვარდა ლოგინად და მილევ ვათავდა.

ქართული ინტელიგენციის ისტორიაში გიორგი წე-  
რთელი სამ ხანას ანუ სამ დასს შეხედავდა. პირველი იყო  
ძველი თავად აზნაურული ინტელიგენცია, რომელსაც  
გრაგოლ ოზბეგისანი ახასიათებდა; მეორე—თავადურ-  
ბურჟუაზიული, რომელსაც ილია ჭეჭვებამე მეთაურობდა;  
მესამე სულ ახალი რევოლუციონურად განწყობილი და  
სოციალისტურად მოაზროვნე.

გიორგი წვერთელი ამოუღდა გვერდში სწორით ამ  
მესამეს, რომელსაც თითონვე უწოდა „მესამე დასი“ და  
ფართოდ გაულო მას კარი თვის „კვალში“.

ამით გიორგი წვერთელმა გამოიწვია საშინელი გა-  
მწვევება ილია ჭეჭვებამის ბანაკში და გამართა გიორგი  
წვერთელის დენა, რაც იმის გარდაცვალებამდე არ შეე-  
წყვეტილა.

„კვალი“ გადაიქცა სოციალ-დემოკრატების ორგა-  
ნოდ და თავის დროზედ ქართველ პროლეტარიატს მან  
დიდი სამსახური გაუწია. საქართველოს მუშა ხალხის ის-  
ტორიკოსი „კვალს“ გვერდს ვერ აუხვევს.

ამგვარად გიორგი წვერთელმა ძალიან ადრე აულო  
ჩვენს ცხოვრებას ააღო და ჩვენი მშრომელი ხალხის სა-  
რეველუციო მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა.

გიორგი წვერთელი იყო სოციალისტურად მოაზ-  
როვნე, მაგრამ ამავე დროს ის იყო ნაციონალისტი: ერის,  
სამშობლო და სოციალიზმი იმის შეგნებაში განუყოფელი  
იყო.

კომუნისტურ მანიფესტს ის სრულად ჰტებულობდა  
გარდა ერთი ადგილისა, სადაც ნათქვამია: პროლეტა-  
რებს საშობლო არ გააჩნიათ.

სამშობლო ისე არავისათვის არ არის საჭირო, რო-  
გორც პროლეტარიატისათვის, უოქვამს მას ჩემთვის,—  
რადგანაც ამ სამშობლოს ისინი მოაწყობენ მთელი მშრო-  
მელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გიორგი წვერთელი მეტად საინტერესო პიროვნებაა  
და ისეთი კვალი დასტოვა, რომელიც არასოდეს არ წაი-  
შლება. ქართველი მშრომელი ხალხის ისტორიაში მას  
უსათუოდ ექნება საპატიო ადგილი.

ივ. გომართელი

## პროვზული თეატრისთვის

IV.

არ იფიქროთ ჩვენს თეატრს მარტო ისტორიული  
ექსტაზით ეცხოვროს და გამოპარვოდნს უდიდესი მნი-  
შენილობა თანამედროვე სოციალური და ყოფითი და-  
მის განსახიერების. რეპერტუარის სიღარიბე სულ სხვა  
თემაა. მაგრამ ვინც კი გადაავლებს თვალს ჩვენს საზო-  
გადოთ მარაბ რეპერტუარს და გაითვალისწინებს თეა-  
ტრის ისტორიულ მოღვაწეობას 75 წ. მანძილზე, ის  
უნდა დაგვეთანხმოს, რომ ჩვენში თეატრალური ხელო-  
ვნება სოციალური (თუ გენებათ: რევოლუციური) და

ყოფითი თვალსაზრისითაც **შედარებით** თავის სიმაღლეზე იდგა, რამდენათაც ხელს უწყობდა დრო და ისტორიული გაეროება, რომლის ვადალახეა, რა თქმა უნდა, თვატრის არ შექმლო

ვინ არ იცის ღღეს ის დიდათ მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ითამაშა პირდაპირი თუ ირიბი ზედმოქმედებით ქართულმა თეატრმა სოციალ-რევოლუციური სლოსკეიუმების გასაძლიერებლათ და ეროვნულ კულტურული გრძობის ასამაღლებლათ და გასაფაქიხებლათ! აპას ისინიც კი აღიარებენ, ვინც,—ლოლივის და ისტორიის წინააღმდეგ.—თეატრის არსებობის წვლადრიცხვას თვის გუმინდელი თუ ღღევიანდელი ეგრეთ წოდებული „გამოსვლებით“ იწყებს აქაო და მველი თეატრი, როგორც თეატრი პატრიოტის, პროპაგანდის და ყოფს, მოკვდა და სრულათ ახალი თეატრით ვეღღენებით ქართველ საზოგადოებასა.

პატრიოტიკაზე უკვე მქონდა ლაპარაკი. იგი მეტნაკლები სიზლიერით განუყრელი ელემენტია ყოველი ერის თეატრის. ის ელემენტი ხან ძლიერდება, ხან სუსტდება,—დამოკიდებულია იმაზე, რომელ ერთან ან ერის ისტორიული ცხოვრების რაიმე ეპოქასთან გვაქვს საქმი საცემებით კი ის არასოდეს არ ქრება და ვუჭირებთ, არც ვაჭრება თეატრიდან, სანამ თვით ცხოვრებაში არ დაწრება მისი მასაზრდობელი წყარო. ეს კი, როგორც იცით, ძალიან შორეული დომიანის მუსიკაა, რომელიც ღღეს შევიცილია სათვალავში არ მიეცდით. თუ ოდნავ მაინც გაიხსენებთ ძველი „საბერძნეთის თეატრს“—ესხიზმოსის, სოფოკლეს და ევრიპიდის თეატრს,—და ევროპის კულტურულ ერთა ნაციონალური თეატრების აღორძინების ისტორიას, ზემოხსენებული აზრის ქეშპირიტება ნათელი იქნება ყვ ლასათვის.

სერეთლო ხელოვნება, კერძოდ თეატრი, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივია და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივობის სულიერ მთლიანობას და მის კულტურას ემსახურება. თვით მშვენიერება, როგორც ესთეატრიური ტეკობა, უადრესად სოციალურ დანიშნულებას ასრულებს. ეს ახლა სადაოდ არაა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ თეატრი საავტაციო საპროპაგანდო შკოლად გადაიქცეს და ქუვა-მოკულ მორალისტების პრაქტიკული მოღვაწეობის იარაღად გახდეს. ეს პირდაპირი სიცილია თეატრის. ამის ნათელსაყოფათ აუარებელ მასალას და მწარე გამოცილებას. იძლევა მთელი თანამედროვე ნერვულათ მითითლოვარე ეპოქა.

ცხადია, ქართული თეატრი იბეჭდებოდა, თავისი მოღვაწეობით (როგორც ყველა თეატრი), ღღეს გავლენას სტოვებდა მასურებლებზე და აწნაირად თავის თავად ერთგვარ განსახიერებელ პროპაგანდას. წარმოადგენდა, პროპაგანდას იმ ღირებულებისას, რომელთაც ემსახურება თეატრი. ამგვარად გავებულ „პროპაგანდას“ ვერსოდეს ვ რ მიმოივრებს თავიდან თეატრი, როგორც ხელოვნების ტაძარი, სადაც თავისებურ სალოცავით დაიარება ხალხი. მაგრამ საზოგადოთ შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი,—თითო-ორალა მავალით თუ არ გაეაზვიადებთ,—არასოდეს არ ჩამოქვერთებულა ავტაკეურ-მორალიტურ სიბაძნე-სიტყრის ქვადეგანად. სხვისი არ ვიცით და შეკი მწივნებმა, რომ პარწავარდნილი პროპაგანდის თეატრი „ღღრუჭული“ თეატრი უფროა, ვიდრე სამოც-

დათხუთმეტ წლოვანი ქართული თეატრი, რომელსაც, ის,—ერთი არაკის არ იყო,—უქადრისობას და სწუნობას: მე არ მინახავს მაგისაგან ჩემ ღღემ სარგებელი! რას დაღვე: ნელღი იქნებდა, თუ გამოიშრალია—ხნეოლო.

ჩვენ ვიცით, ქართულ თეატრს ჰქონდა ცუდი ტენდენციური მორალისტური ხეიულები. მაკრამ ეს სრულებით არა დამახასიათებელი საყოოთ მკი შემოქმედებისათვის. ვარდა ამისა ამ ცუდ მორალისტურ ტენდენციის ყოველივის კრკში უღვენ თეატრის უღღდესი ქურუმნი და ქართული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი. დღეს ხელზე ილია ჰივკავაძეს, რომელიც უსსატკეს მსჯავრის სდება თეატრის და ღღრამის ასეთს ვაყოლებას. „როსად ღღრამში!“,—სწერს ის,—რა თქმა უნდა—მეტრნი კაცის მქავენი არიან, ქართველღის სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელ შეუხეობს და ქართველები კი—ყოველის ადამიანობით სრულნი. ასე ყოველად მხეცობა მტრისა, ყოვლდე სისწულე და სდესება ქართველებსა—ბაგეშუერი წადლია, კაცმა თავი მიაწონის მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა, ქართველია თუ გეუმანელი—ავგარეიანობით არის სდესე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქოედ ის ამ მტრე კარგი, ამ მარტუ ავი. ავი და კარვი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის ღღდ მანძილს ვერ გაიბრებს მწერლობაში. თნდ ვევეც არ იყოს, თნეთონ ცალკე, თვითთელი ადამიანის ბუნების ავგარეიანოვაში იგი მოძრაობა სდლისა და ცეულისა, რომელიც ღღრამის სდგნდა აქეს და რომლის თვალწინ ცხოვლად წარმოდგნა ასე თუ სივ არყვეს ხოლმე მაყურებელს და მიელს ავებულად მსდერავს ან სისარული, ან მწუხარებით, ან სიყვარულით, ან მძულვარებით. ჩვენ კარენი ვართ, ისინი კი მხეცები და აზთერები არიანო. ეს გრძობის ქეშპირიტ გზახე დაყვენება კი არის, გრძობის წარწყენდაა, გაყალბება, დაბრმავება. ეგ ცეცხლია ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალბობს უმაღვე ჩაქება და ხელნი მარტო ევრული ვგრჩება და ჰაერში—ნატისუსალი („ქრიტკუული წერილები“—ახალი ღღრამის გამო).

რაც შეეხება „ყოფას“, ის რაღაც ძალიან ათვალწუნებულია „მამიებლებისაგან“, თითქმის საჯინებელ სიტყვად ივანემა ზოგიერთს ხელოვნების მსახურთა ნახალადევით ვაგემარცხნებულ წრეებში; განსაკუთრებით მომავდინებულ ცოდვად შეივლიან ქართულ თეატრს: ყოფს ენდა ვგმორადო. მერე ყოფს რომ ვაზირებოდა, სად უნდა წაუთელიყო არა თუ ქართული თეატრი, საზოგადოთ თეატრი ყოფს, რომ ვაზირდეს, სად წვაიდეს?

მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ყოფა“ წარმოუღღენიათ რაღაც მვედარ უმოძრაო, ერთგვროვან, დაწერლობანებულ რამედ. მერე გამოიღინ და მის შესახებ ასეთ და-მახინჯებულ წარმოდგნაზე გამარჯვებას ღღესასწული ბენ, ნამდვილათ კი „ყოფა“ სისრულით წარმოდგენილი თვით ცხოვრებაა, თვით სინამდვილავ მთელი თავის სიღრმით, სირთულით, ფსიქოლოგიით და საზოგადოებრივობით. და მისგან თავის დაფარვა, ვანდგამო და განყენება ყოველათ შეუძლებელია. ძალაუნებურთ ამის მორალილობს ყოველი თეატრი მიუხედავათ მიმართულებისა, არა მარტო რეალისტური, არამედ არა რეალისტური

1) „მტრელო“ და „ქრი. ღღდა“.

თეატრიც. ამის ცნობა და აღიარება, ბოლოს და ბოლოს, კულტურული კეთილ-სინდისიერების და გულწრფელობის საკმეა. შეიძლება თეატრში ზღაპარი დადგათ—მაგრამ ამით ვერ დაამტკიცეთ, რომ „ყოფას“ სრულებით მოწყობით და „ზე-ყოფის“ სფეროში ამოყავით თავი ეს იქნება, როგორც ამბობს ერთი რუსი თეატრალური კრიტიკოსი, არა „ყოფის“ უარყოფა, არამედ მისი გადატანა გაზეიადების და ფანტაზიის საფეოში. განა ცოტა „ყოფა“, ვთქვათ, ზღაპრულ „სინათლეში“, რომელიც ბოლო ხანებში რამოდენიმეჯერ დაიდგა რუსთაველის თეატრში? ან სახელმწიფო აკადემიური დასის რომელი დადგმაა რომ განთავისუფლებულია სრულია ყოფის „პიუჩერებისაგან“?

ცხადზე უცხადესია, ესა თუ ის „ყოფა“ ხშირად უფერული, ერთფეროვანი, უშინაარსო ან როგორც ხშირად უფერული, ერთფეროვანი და უშინაარსო თვით ცხოვრება. ამას ვერაფერს ვერ უზაპოთ ამ ერთფეროვანი და უშინაარსო ყოფა ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული თეატრი, თავისთავად ცხადია, ვერ იქნება მიხეცა და მიანც მრავალფეროვანი, ცოცხალი და შინაარსიანი. მაგრამ კეთილგონიერი ხალხის მთელი მისწრაფება იქითაქნა მიმართული, რომ ის ყოფა გაოხიერდეს, გამრავალფეროვანდეს, სულიერათა გამდიდრდეს ამ. ღღდეს. რ ეს იქნება აგრეთვე ურყველი საფუძველი კულტურის განვითარების და ხელოვნების აყვავების.

მოიგონეთ ამ ორი ულს წინათ რუსეთის პრესაში გამართული მეთათ საყურადღებო კამათი ყოფის და კულ-

ტურის ურთიერთობის შესახებ, თუ გახსოვთ, იქ ნათლად გამოიჩინა, რომ საერთოთა ახალი წყურლობა და კერძოთა ახალი დრამა უსუსური და უტეხებელია, სწორედ იმიტომ, რომ იმინი ეპოქის მხოლოთ შორიდან უყლიან გარს, „ყოფის“ ზედპარაზე ზერელედ დღასრიალობენ და არ ეშვებიან მის ძირში მრავალმხვი „ცოცხალი ცხოვრების“ შესაგრძნობლათ და განსახიერებლათ. ყოფას მოცილებული და ყოფას მოკლებული ლიტერატურა დე დრამატურგია მკვდარია. ყოფა გაგებულთ უნდა იქნეს ფართო აზრით, ორგანიულათ და ისტორიულათ (და არა ვიწროთ, ზედაბირულათ და ნატურალისტურათ.

საკუთრი ჩე ნი მდგომარეობის შესახებ შევიძლიათ და უფერეაც ვაქვთ სიტყვით, რომ „ქართული ყოფა“ ქართული თეატრის არსებობის ხანაში (და უფრო ადრეც; რასაკვირველია) ერთგვაროვანი და უსიკოცხლო იყო,— იგი ცუდად იყო ასახული და წარმოდგენილი დრამასა და თეატრში, რომ ქართული ორიგინალური დრამატურგია ღირნიბა, ჩენნი თეატრის „ყოფითი“ რებერტუარხ უფარგის და გამცვდარია,—რომ ჩენი, მოკლედ უყილენი და უქონენი ვართ და სხვ., მაგრამ საზოგადოდ და პრინაპალურად „ყოფითი“ წინააღმდეგ გაღამქრება, მისი უარყოფა დრამატული და თეატრალური ხელოვნებისათვის, მისი გაუკანასკნელების და თეატრიდან განდენის ცდა,—ეს მეტი რომ არა ესთქვათ, ისეთი გაუგებრობაა, რომლის მსგავსი მეორე არ მოინახება.

მამარაღლი.

# რ ა თ ა ვ ი ა ვ ი ბ ლ ი !

გაგბრე:ვლი და შევეჭვი ვირსა,  
ტლინი ჰყარა—ღამეცა ძირსა.  
ხ ა ლ ხ უ რ ი .

„ქიანქველას რომ ფრთები გამოჟოვა, ღმერთი მაშინ გაუწყურებიაო“—ნათქვამია. და ვინც ესა სიტქვა, მამა ცხონებულმა, ალბად ჩე ზედა სიტქვა.

ხ ამ მოგებს ნებათ, ცხოვრება კიბეა:—ზოგი ადის, ზოგი ჩამოაღის. მეც ერთ დროს ამ კიბის დაბლა საფეხურზე ვივლიქი, მიჭირდა საფეხურის მონაცვლება, ზოგით აწყევა და შორით შეისკქროდი იმით, ვინც ამ კიბეზე მიაბიჯებდა და მიდიოდა სულ ზევით, ზევით..

ჩემი ოჯახობა სულ თავში მივაჩუნებდა და ბოლომით სასვე გულს უარესად მიივებდა ყოველდღე საყვედურით და დაკინვით.

— არაფრით ვარკიბარ, შე ქალაჩუნა შენა! სხეები კვერცხებში გამოჟოვიან, რას არ ახერხებენ, რას არ შერევიან და ისე ცხოვრობენ, რომ კაცს შეშუდიან. ჩვენ კი ერთ წუწინათ თთახში ვიკარუნჩხებით და არაფერი არ გაგვანჩია. თუ, შენ მოუკლეთ შენს პატაროს, შენა!

მიმაცირდა ქოქოლას და თავში ჩამივარუნებდა. მეც რას ვზამდი; მართალს ამბობდა და რა უნდა მეთქვა ვიკოლავდი დარღს გულოში და ვინ იცის რას არ ვფიქრობდი.

მაგრამ ვერაფერს ვაძებდი. ალბად მართლა უშნო და ქალაჩუნა ვიყავი, რომ არა მეხერხებოდა რა და ცოლიც თავში მირტყავდა.

მაგრამ არა! მე არც ისე პატარა კაცია ვარ, არც ისე უნიქო:

არა, მე კიბის სათავეში უნდა ვიყო; აქ რა მიხდა! რითი მგობიან, ვინა გლიან! მე ყველაზე მეტი ვიცი, მე ყველაზე მეტი შემიძლია; ვინა გლიან!

„ახ, რომ არ მიშლიდეს, რომ არ მიშლიდეს...“ ვფიქრობდი მე და ღღემდის ვერ მივმხდარვარ, რა მიშლიდა მაშინ.

ამ წვალბაში გავიდა დრო მე გული გამიტყდა და კინაღამ დავიჯერე ჩემი უნიქობა და დავიჯერებდი კიდევ, მეტი რა გზა მქონდა, რომ ერთბაშად საშინელი არეულობა არ მოხზდარიყოს ცხოვრების კიბეზე.

ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად კიბე შეიარყა ძლიერად და ვინც ზევით იყვნენ ასულინი, პარტყა-პურტყით ძირს ჩამოკინდნენ.

ზოგმა ფეხი მოიტყხა, ზოგს კბილები ჩასკინდა, ზოგმა თავი გაიტყხა, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა...

მე კი ქვეით ვივლიქი, გულიანათ ეხარხარებდი — ეგვც თქვენ! ხომ მოცხედათ შელოსა! ახლა ჩემი ბიჭობაც ნახეთ მეთქი!

აგბტი კიბეზე და ზევით ქვეით ვაღმომგებდი. ოო, რა საიმოვნება ვიგრძენი, რა საიმოწყა! დაგრწმუნდი, დაგრწმუნდი, რომ ყველაფერი შემიძლე-

ბია, დაერწმუნდი, რომ სხვები ჩემთან არაფერი ყოფი-  
ლან. მართლაც, ვინა ვლიან!

ჩემმა ცოლმა რომ დამინახა პორტუგელით ხელში და  
გაჩქარებული მოსიარულე ხან ავტომობილით, ხან ეტლით,  
პირს კატა ეკა, განცვიფრდა და გაჰკვირდა დიდათ. აღ-  
ბაღ არ მოელოდა, საწყალი, გულგატეხილი იყო და არ  
იციოდა, თუ რა ძალა იმალეობოდა ჩემში. ეხლა თავში  
აღორ მივაჩუნებდა, მიღმიოდა კიდევ და, თითქოს ალერს  
ნარიევი კილოთი, მეტუნებოდა:

— შენ გენაცვალე, ახლა შენ დიდი კაცი ხარ, რა  
არ შეგიძლია! დატრიალდი, უბრძანე აქეთ-იქით და კარ-  
გი ოთახები დააცლიეინე ჩვენთვის შუა ქალაქშიო.

მე მყისვე გავეცი ბრძანება, დაეატრიალე ხალხი და  
მართლაც მთორე დღეს გადაეგზარაგდით შუა ქალაქში ერთ  
დიდ სახლში ორ დიდ ოთახში.

რომ შევედიოთ ბინაში, ჩემს მუფლეს ძალიან იამა.  
და სიყვარულით მკლავი მკლავში გამიყარა, კისერი ლა-  
მახად გადაიდგო გვერდზე, მინახული თვალებით შე-  
მომხედა და წაიღოდუნა:

— შენკი გენაცვალე, შენა!...

კიბის თავზე, აივანზე და ეზოში ვიღასიც ბარგი-  
ბარბანა ეყვარა. რომ ვიკითხე, მითხვარეს:

— აქ რომ იღვა, მისიაო.

რას დავეყებ, კისერიც უტეხია, სადაც უნდა—იქ წა-  
ვიღე... მოვეწყეთ. ავივიცი ვიშოვნი... დავისცენე.

რამოღონებ ხნის შედევს ისევ დაიწყეს ჩემს თავზე  
ბაღდადური ჩემი მეფლის მუშტებმა...

— სხევს ხუთი-ექვსი ოთახი აქვსო, ავივიცი უშოვ-  
ნიათ საუკეთესო და ჩვენ კი ამ ორ ოთახში ვართ მო-  
კრუნჩხულიო. შენ მოუყვდი შენს პატრონს, თუ შენ რანე  
გაიგონაო,—გაჰკიოდა.

ყრიპა! დიწყო ისევე თავიდან!..

ღვთის წინაშე ეხლა სადავდარაბო ბევრი არა  
მქონდა, რადგან ჩემთვის შეუძლებელი აღარა იყო რა.  
მაგრამ სად, რომელ სახლში? აი კითხვა, რომელსაც ვა-  
დაწყვეტა უნდაოდა.

ესეც მალე გადაწყდა.

ჩემმა მეგობარმა ჩიხზე დაგვპატიყა. ვეწვიეთ. შევე-  
დით თუ არა, ცოლმა მაშინ-თვე ჩაშლიქვა და კბილების  
ღრქენით წაჩიჩურჩულა:

— აი, შე ღმერთგამწყურალო, ბინა ესეთი უნდა!..  
შენ მოუყვდი შენს პატრონს!..

და იქით ჩამოჯდა.

მე არც ვაცევე, არც ვაცხედე და ჩაის რომ შევე-  
ქციედიოთ და ვმუსაიფობდით, ჩემ მასპინძელს პირდაპირ  
გამოეოცხადე:

— იცო, ეს ბინა კარგი ყოფილა, ძალიან მომწონს.  
თუ ძმა ხარ, შენ სხვაგან გადადი და მე აქ უნდა გად-  
მოვიდე.

მასპინძელმა თვალები გადაოქაჩა, ფერი წაუვიდა  
და ქვედა ყბა ჩამოუვარდა.

კაი ხანს იყო ასე და მერე წაიღულლდა.

— შე კაცო, მე სად წავიდე მერე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ვუპასუხე მე და ავდექი

წასასვლელად.

შეგხედე—ჩემს ცოლს ლოყები თურაშაული ვაშლი-  
ვით ასწითლებია და თვალები სიხარულით უბრწყინავს.

კარგეში რომ გამოვიდიოდი, მასპინძელსაც აღარ  
მოერდა, მომეკრა, ჩამომეგადა მკლავზე და ჩაილაპა-  
რაკა;

— შენ კი გენაცვალე, შენა!..

სახლში რომ მივედი, ცოტა დავეფქარი, შემეცოდა  
მეგობარი. გადავსწყვიტე მისთვის ბინა დამეცლევინებო  
სადმე.

დეტრიალიდი.—ერთი სახლი მომივიდა თვალში.  
შევედი. ავიყვანე ერთი მდგმური, მეორე მდგმურს შევე-  
სახლე, იქიდან ის მეორე ჩემს ბინაზე გავასახლე, ჩემი  
მეგობარი აქ ჩავასახლე და მე კი იქ დიდებულად დაე-  
სახლდი.

ჩემი ცოლის სიხარულს საწლავრი აღარ ჰქონდა.  
აღბათ ეს იყო მიზეზი იმ უბოძო, უმწიკველო და უანგარო  
გრძნობისა, რომლითაც ჩემი ცოლი ახალ ბინაზე გამიმას-  
პინძლდა...

ჰაიგიდი, რა კარგი რამა ყოფილა! სად ჰქონდა  
აქამდის დამარხული ეს ზღვა სიყვარულისა!

ორ დღეს ჩვენს ნეტარებას სასულელო არა ჰქონდა.

მესამე დღეს მოხდა საშენილება, ცა დამექცა თავ-  
ზე. ცხოვრების კიბეზე მაღლა ვიყავი ასული და ვლამობ-  
დი კიდევ ზევით ამეწია, მაგრამ რა დამემართა არ ვიცი:  
ჩუბუბუბა მისუსტეს, დამწყველა ვინმემ, თვალი მეცა თლ  
რა ღმერთი გამაწყრა, არ ვიცი. ერთბაშად კიბის საფე-  
ხურზე ფეხი დამივცა, წვიქეცი და ბრგ-ბრუფით ქვეით  
დავეწვი.

თავზარი დამეცა, დაბნელდა და ერთბაშად თვა-  
ლებმა ცეცხლები გაყარეს, რადგან რალაც მაგარი მომ-  
ხვდა თავში და ვიღაცამ ჩამომწყვილა:

— შენ მოუყვდი შენს პატრონს, შენა!

გამოეფხიზლდე, მიმოვიხედე და ჩემი ცოლის ბრაზიან  
თვალებს წავეწყვიდი.

ავიხედე ცხოვრების კიბეზე, იქ, სადაც მე ვიდე-  
ქი, უკვე სხვა აღსულებულიყო და დაცივივთ ზევიდან ქვეით  
გაღმომწერებოდა...

— ვაი შენ ჩემო თავო! რა სირცხვილი ვესპაქე!

მეორე დღეს ის ვეგბატონი, იქ, კიბეზე ჩემს ადგილზე  
რომ ასულიყო, მოულოდინედ ჩემთან შემოვიდა. ხეი-  
რიანად გამარჯვებ ც არ გვითხრა, ოთახებს გადახედ-  
გადმოხედა და არც აცივა, არც აცხელა,—პირდაპირ  
მომახალა:

— უკაცრავად, მაგრამ ეს ბინა მომწონს, აქ მე  
უნდა სადმოვიდე და თქვენ სხვაგან გადადიოთ.

გული მუცელში ჩამეყარა. გადავხედე მუფლეს—  
სახეზე ალმური ასდიოდა და ისეთი თვალით მიყურებდა,  
რომ კინაღამ შიშით დავიციე.

წავიდა. კარგეში ვდგევარ და ვუყურებ, როგორ  
მიდის ის ვეგბატონი კიბეებზე და ვფიქრობ:

— ვაი დედა რა თავი ავიგდე, რა მქენი! ვინ იცის  
ეხლა როგორ გამახალბეგენ აქედან, და სად შემეასახლე-  
ბენ..

# სახე გვირილაგუმი

კაიუს პელს

... რათ მოდის ფიქრებიდან შენი სახე ასე ნატანჯი, ასე გაფითრებული, და მოაქვს სევდა დაკარგულ იმედებს? რათ იღივება ასე უიღბლოთ, ასე აცრემლებით, ასე გალანდებით?...

... შენ ხომ შორეული სტუმარი ხარ, დედამიწაზეც ცთომილად მოსულიო...

... შენი სახე, მეგობარო, უცხო ყვავილია, უცხო ყვავილია თეთრ გვირილებში ჩამალული...

... შენი ღიმილი გაზაფხულის მზის ღიმილია, თეთრ თოვლს რომ აელვარებს...

... შენი თვალები წმინდა ფიქრებია... ცისფერი ფიქრები, სიყვარულს რომ აღმერთებენ.

... შენი თმები შადრევანების ტეხილი ხაზებია, მზის წვიმაში რომ ელავენ.

... შენ ნარაგიზი ხარ—მშენიერების ღმერთო—ადამიანებში დაკარგულიო...

... შენი სამოსი სილამაზეა, მეგობარო, პოეზიით ნაწამებო...

... შენ, ჭადმიანო, ღმერთი ხარ ადამიანების და ადამიანები გაღმერთებენ შენ... მაგრამ

ღამის ფიქრები რათ სერავენ შენს სახეს, მეგობარო, შენს სახეს ასე აცრემლებულს?

... შენი სული პრომეთეს ცეცხლია, ფ რადებათ რომ იშლებია.

... შენ, სხვანაირო მოკვდავთა შორის... რათ ხარ ასეთი?

შენ ხომ ნარაგიზი ხარ, შენ ნარაგიზები გფარავენ.

შენ ხომ გვირილა ხარ და გვირილები გამშვენებენ შენ და...

შენი სახე, მეგობარო, უცხო ყვავილია, უცხო ყვავილია, თეთრ გვირილებში ჩამალული და თეთრ გვირილებში ატრებული...

მუდამ ატირებულიო...

ელეონორ კანდელიკი



ივანე (ვანო) ტარ-გრიგორიანი

60 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გამო დღეს რუსთაველის თეატრში.

# მე წინ მივდივარ

მე წინ მივდივარ, ვერ შემაშინებს ღამით აშლილი ბურუსი ჯანყი. ჩემ სულის სწრაფვას ვერ დაიმონებს შურისძიება გიეი—ამაყი.

განაივლება მსოფლიო ცოდვა, ჰანგი ციური დაიწყიაღვებს, სისხლიან მიწის ოხვრა და სვედა გახალისდება, მოიხსნის შავებს.

მე წინ მივდივარ, ვერ შემაშინებს, ღამით აშლილი ბურუსი, ჯანყი, ჩემ სულის სწრაფვას ვერ დაიმონებს შურისძიება გიეი—ამაყი.

ვ. ხორთელი

# ორი დღესასწაული

იუზა ზარდალიშვილი

დღეს ქუთაისი იუზა ზარდალიშვილის სასცენო მოღვაწეობის 25 წ. თავს ზეიმობს.

25 წელიწადია რაც იუზა ხელოვნების ტაძარს ემსახურება თავგამოდებით, მაღალს შეგნებით, უზომო სიყვარულით.

არაბისაგან ღირსეულ ქურუმად შეიქნა და მით სხვათაც გადმოსძახა: ინდომე, იშრომე, გიყვარდეს ხელოვნება, — საქმით ემსახურე და აძალდებო.

იუზა ჩვენს მსახიობთა შორის იშვიათთაგანია მითი, რომ ჩვეულებრივ ერთფეროვნებას, მშაბიჭობას, უქმად დარს ტარებას აცილებული მხოლოდ ერთის იდეით ცხოვრობდა: ხელოვნების უზაღო საშახურით.

ქუთაისის მშრომელი ხალხი, რომლის წრიდანაც გამოვიდა იუზა, დღეს სდაფნის თვის სახელოვან შეილს. სალაში და კვლავ ახალ-ახალი გამარჯვებანი ჩვენს იუზას!

ვანო ტარ-გრიგორიანი

ამავე დღეს ტვ. რუსთაველის თეატრში მეორე სასცენო დღესასწაულია:

60 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს უხიდან სომხის სცენის ერთ ძველ მესამარჯველთაგანს—ივანე (ვანო) ტერ-გრიგორიანს.

სიტყვით ადვილია სთქვა 60 წ. მოღვაწეობა, მაგრამ აბა ერთი საქმით წარმოიდგინე: ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე წლის განმავლობაში გულციობა, დღენა, რაიც ძველს წყობილებას ახასიათებდა, დამცივებ; დაცივნა როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან,—და მაინც ხალხისი არ გეკარგებოდეს საქვეყნო საქმისადმი,—დიდაც რომ დიდი რამაა.

ვანო ტერ-გრიგორიანი სამოცი წლის განმავლობაში მხურვალე, უანგარო მონაწილეობას იღებდა სომხურ მშობლიურ სცენაზე, ამავე დროს სახალხო თეატრში და—გარდა იმისა რომ შრომის ფასს არ იღებდა—თვით ემხარებოდა, —ამ ათიოდე წლის წინად გამართულ იუბილეს შემოსავალიც სომხეთა საზოგადო საქმეებს გადასცა.

მართლაც რომ ასეთ მოღვაწეთა ამავე დადაფენა ეკუთვნის!

იუზა და გამარჯვება მის ნაკვალევზე გამგულთა! იოსებ არიმათიელი

ჩვენ



პირო

„პარიზხალის წინ“

დადგმა კ. მარჯანიშვილის, სცენარი დალიანის, გამოცემა სოც. უზრ. კომისარ.

პირველი მსხვერპლი

(გაგრძელება იხ. „თ. და ცხ.“ № 2)

IV

პეტრეს უყვარდა ლამაზი ცირა, თვალზე-გიშვრა და ალვად რგული, და მის კარებთან ათევედა ხშირად, ტრფობით დამწვარი და დაბანგული. უძგერდა გული და გრძნობის სიძებს უთამაშებდა ოცნების ქარი და აწყდებოდა ეკლები ქიმებს დაჭრილი გული და ჰკენესდა ქნარი: „გულის ვარდო, სულის ნამო! გენაცვალე, კარში გამო! დამანახვე იგ თვალები, უძილობით ნაწველები! მსურს შევეყურდე გიშრის ტბაში, ვაბანაო სული მასში! უშენობით კვდება გული, სევდის ბაღში გადაარგული.“

V

ცირასაც სწავდა პეტრეს თვალეზი, მასზე ოცნება უკრიობდა ძილსა, მაგრამ დახშული ჰქონდა კარები, უგული მამის, სოცდაგრის შვილსა. ის იყო ქალი განათლებული, პეტრე კი მუშა და მეზღვაური და სად ენახა მას გამართლები, რომ გადაეჭრა გზა უქნაური? ან ვის შეეძლო ეთქვა მამისთვის ამბავი, მისთვის გაუფინარი? — ჯვარზე აცვამდა ყველას ამისთვის და დაახრჩობდა, ვით ძაღლს, ზონარით. და ჰკენესდა ცირა: „რად არის ნეტა ცხოვრება საიესე ლაბირინტებით? ან რად დავედივართ ცალცალკე კენტად,

სხვადსხვა გზებით და ბილიკებით?! სად ორი გრძნობა გადახლართულია, იქ რა შეაშია მესამის ხელი, როგორც კედელი რომ ამართულია და შეამიანი უპყრია გველი?“ და ვერ ენახა გულდამწვარ ცირას ამ ხლართებიდან გამოსავალი: ცრემლით ალტობდა გრძნობათა წყირას და უჭკნებოდა სულის ჯავარი.

VI

მაგრამ სიყვარულს სადა აქვს მიჯნა? მისი სამეფო (აზერ ფართოა, გული უღვია უძღვევლ მიჯგად და მთლად მსოფლიო—სანავარდოა. და ცირას გულმაც ფრთები გაშალა, დაბრკოლებათა მთები წაშალა; გაფრინდა ჩიტ მამის სახლიდან და პეტრეს ქოხის შეალო კარი... ხვეწა და კოცნა ისე გახშირდა, ვით ცის გუმბათზე ვარსკვლავთა ჯარი. — „ჩემო სიკოცხევე“ — „ჩემო ღვთაებავ!“ ისმოდა ხმები, ვით ჩქევა ჩქერის ალერისს ქსელი ისე გაება, რომ ვერ ძღებოდენ ერთუთრის ცქერით. — აწ სამუდამით შენი ვარ, შენი და სადაც ვინდა, დე წამიყვანე! — ეგ სითამამე რარიგად გვეწინს! შენი ჭირიმიე! შენ გეთაყვანე! — აძღვედა პასუხს პეტრე ფრთა-სხმული, მაგრამ უეცრად, მძიმე და რთული, წინ წამოეჭრა საციხი და ლიფი და შემაერთი გადაესკა ხიდი; მუშათა სარქვე კვლავ მოაგონდა.

ცოტა არ იყოს კიდევ დალონდა.  
 მაგრამ პირადი ბედნიერება  
 საერთო საქმეს შესწირა ნებათ  
 და უთხრა სატრფოს: „მშვენიერებაგ“,  
 ღირსი ხარ ტრფობის! ღირსი ხარ ქების!  
 მაგრამ, სიცოცხლე, უნდა გავიტყუდე:  
 სახიფათოა გზა არჩეული.  
 ჰო, შეგვიფარებს სოფელი და ტყე,  
 მაგრამ ვიქნებით იქ დაზღვეული?  
 როს მამაშენი ამას გაიგებს,  
 გადაირევა, შეიპყრობს ცოფი:  
 შეპყრის ქვეყანას, მახეს დაგვიგებს...  
 და მაშინ რა ვქნა: ვებრძოლო თოფით?  
 ეს არ მაშინებს, არა ვარ მხდალი,  
 შენთვის ქვეყანას შევივლიდები:  
 მაგრამ მიძახის საერთო ვალი  
 და მას კი ვედარ განვევრიდები;  
 დაწყებულ საქმეს ვერ ვუღალატებ;  
 იგი უჩემოდ დაიღუპება:  
 ჩაუფარდება ხელში ჯალათებს...  
 და როგორ მივცე ამის უფლება?  
 ვიდრე ამ საქმეს სულ არ დადავჭრი,  
 გემუდარები, შენც მოითმინო.  
 შემდეგ ასპარეზს ფართოთ გადავშლი:  
 ერთად ვიფრინოთ! ერთად ვილხინოთ!“  
 ატირდა ცირა, ელდა ნაკრავი,  
 მაგრამ საყვარლის სურვილს დანებდა,  
 თან წამოიღო სვედის საკრავი,  
 გულს რომ ესობა მჩხვლეტაგ დანებათ.

VII

წინ მიდიოდა მუშათა საქმე  
 და მტკიცდებოდა მათი კავშირი.  
 ამაფეთქებელს აწყობდენ ნალმებს  
 და ჰქონდათ მასზე კამათი ხშირი.  
 უკანასკნელი მოვიდა ჟამიც  
 და წარადგინეს მოთხოვნილება:  
 „შეგ იყო მუხლი სულ სამჯერ სამი,  
 მაგრამ შექონდა დიდი ცვლილება.  
 ქვეშ კი ეწერა შენიშვნა ვრცელი:  
 „მოველით“ პასუხს, ან ჰოხს, ან არახს;  
 თუ „ჰო“ ითქმება—ჰა, ჩვენი ხელი,  
 თუ „არა“—მაშინ, დიდი, პატარა,  
 ვით ერთი კაცე, გავიფიცებთ,  
 ვერ შეგვაშინებს მუქარის სროლა;  
 რა საჭიროა დიდი მტკიცება:  
 უფლებსათვის ჩვენც ვიცით ბრძოლა!“  
 ალა-ბატონებს ეცვალათ ფერი.  
 ტანში შეუღდათ შიშის კარები.  
 ასწონ-დასწონეს წამს ყველაფერი  
 ელვის სისწრაფით და აჩქარებით.  
 იქაც აცნობეს, ჯერ იყო სადაც,  
 ამოდრავეს ბნელეთის ხელი,  
 ბოლოს საკითხი გადასჭრეს სადათ:  
 პასუხს არჩიეს დღემილი ვრძელი.

ვარ. რუხაძე

(დასასრული იქნება)

ჩვენ



პინო

„ქარიზხალის წინ“

დადგმა კ. მარჯანიშვილის, სცენარი შალ. დადიანის, გამოცემა სოც.-უზრ. კომისიარიატისა

### სნაული კალი

ის სნეულდება.  
 მისი გული ეხლა ბერდება.  
 უყვარდა ერთხელ მზესთან თამაში  
 და გახაფხულთა უჩაზესი ახავერდება.

ის იყო მამის სათუთი ბავშვი.  
 მის სხეულს სდევდა მარადი დაღლა;  
 მოსწყინდა შებმა ქალაქის ქართან  
 და შორს ნაძენარში სამკურნალოდ გადაესახლა.

გაფრინდა თეთრი გუნდი სიზმართა.  
 შეწყდა ზღაპარი განვილი დროების  
 და სიყვარულიც გადაიჩრდილა.

სდუმს ხეივანი.  
 აღარ კამყამებს ბაღიაში დილა

როს ეწერდი ამ ლექსს:  
 ტყემლების მსუბუქ ყვავილების  
 ვისმინდი შრიალს.  
 ეს იყო მამისის დამძევს,  
 როცა მომსდარი ნიავეში  
 (ჩემს ქვეყანაში მარად უღვივი) ოცნებებს შლიან  
 და გულში უხვად იღვრებიან  
 სიყვარულის ნაკადულები.

და ეხლა როცა ვანთიადები  
 დეშევიან ცისდერ მტყენებდალ:  
 ის დიდის ჩუმად მკვდარ შადრევენებთან  
 როგორც დაჭრილი შველი  
 და მოგონების თეთრ კარავიდან  
 ვიღაცას ელის...

არნა ონელი

### ელვირა

...აროდეს მთვარე იქ არ ყოფილა  
 ისე ყვითელი ნახაღ ელვარე.  
 ღამე დაფნებში აქლოროფილდა,  
 შენ შადრევიანთან თითოილი ელვირა.  
 დნებოდა მთვარე ოქროს ღვარებათ...

შენ ათოვებიდ სხვა სიფერმკრთალეს,  
 გიშრიალებდა თმები გიშერი,  
 ნღობას აბნევიდი ჭრელი თვალებით  
 ქალწული სუსტი და ტანშიშველი.  
 უმანკო ლოცვით ხელებს გიშვერიდი ..

ვინ იცის, უწინ იმ მწვანე ცაზე  
 რამდენმა მთვარემ გადაიარა  
 და გადაცვარულ თეთრ ნარევიზეზე  
 ცრემლთ სოველი გაფრინდა ქარი.  
 ელვირა მსურდა ეს გადარევა...

მკურნელი მზერა, ის ტყე, ის ბალი  
 და სურნელება მაგნოლიების,  
 ვერცხლის მდინარე სტიროდა ვაღმა  
 და ცრემლებს ღვრიდა ნახი იები.  
 ყველაზე უფრო მე დავილაღე...

მასხოვს მინდვილიან როცა დაებრუნდით,  
 მთვარე იღვროდა მწვანე სუროდან,  
 და მთვრალ ფუტკრების ცისფერი გუნდი  
 იქ ჩვენ ვარშემო ტკბილად ბზუოლა:  
 ელვირა! სულში ნატვრა სცურავდა...

მე ეს სიშორე ეხლაც გულს მიკლავს,  
 და მახსენდება ის გაჯეროლება,  
 როცა ჩვენს ირგვლივ სწვივდა მუსიკა  
 და შრიალებდა მწვანე ბულოები.  
 ელვირა! მაკრთობს ეს დაშორება...

საით გვიძო? ურიცხვ ფიქრებით  
 ეხლაც მამძიმებ. შორი მანძილის  
 შენ ათორთოლე ეთერის სივრცე  
 ოქროს მიძვივით, და შენს ტურნებზე  
 ვიგრძნინდი ფიცი სხვა ნეტარების  
 ელვარე, — ელვირა! ელვირა!..  
 . . . და მახსენდება კვლავ იმ მთვარის წინ,  
 ცოცხანვარში დამტოვე ბავშვი,  
 როცა შეძინა თეთრ არშივებში..  
 ელვირა! ელვირა! შენ ხარ ხანჯალი  
 და ეშაფოტი... ღამის შარბათი..  
 და შენ ხარ ღამე სხვა გაღივების  
 ელვირა... ელვირა!.. ელვირა!..“

ვანლერ დაისელი

### პრიოგვის გაკლავებალი

(გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან 25 წ. შემდგომში)

მ ო ზ ო ნ ე ბ ა

მამისის პირველ რიხებებში, 1883 წ. პირველად მოვ-  
 დილიდი ტფილისის. მატარებელს, რომლითაც მოვდილიდი,  
 ბოლოზე დერეფნიანი, ლურჯი, სამეფო ვაგონი ჰქონდა  
 მიმბულთი.

როინის სადგურზე უთვალავი საეკლესიო ბიბირაღე-  
 ბიანი სამღვდლეობა თუ სამოქალაქო წარმომადგენელნი,  
 ქუთაისიდან მოსულნი; იყვნენ ჩამწყკრივებულნი. მემაქანემ  
 მატარებელის „სამეფო ვაგონი“ სწორედ ამ ბიბირაღების  
 წინ გააჩერა...

ვაგონიდან გადმოვიდი, დიდის გაჭირვებით წარმო-  
 მადგენლების წინ მივატანე. სიტყვა სომხები ენაზე იყო,  
 ქუთაისის სომეხთა ეკლესიის ტერტრასაგან დიდის მქერ-  
 მტყვევლობით და ჩქუხარე ხმით წარმოთქმული... ამის  
 შემდეგ წამოვდგი ერთი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი,  
 წვრილი და გამხდარი კაცი და შემდეგი სთქვა:

„როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ერს ბევრი  
 ბრწყინვალე დრო გაუვლია, ბევრი ტანჯვა და წვალება  
 გადაუტანია, ბევრი სასიძაღლო, თავდადებული და შვეგ.

ნებული მამულიშვილი გამოუზრდა და ამათი თავდადებული მუშაობით, როგორც საქართველო, ისე სომხეთი, რთ დროს, დიდ სახელმწიფოთა სწორ სამეფოებათ იწო- დემოდენ. მაგრამ ხშირად ეს დიდი სამეფოება შეუკნე- თელ ქვეყნის გამეფთა ხელშიც იმყოფებოდა... ისტორიის ქარტახილმა, ჩვენი ძველების შეუფენებლობამ, შურმა და შტრობამ, შინაურმა განხეთქილებამ და გაუტყობლობამ, როგორც სომხეთის, ისე ქართველმა ერმა დააქარგა პო- ლიტკური თავისუფლება, დამოუკიდებლობა...

დღევანდელმა, ამ ორი ერის უფროსმა წარმომადგე- ნელებმა, მოწინავე მოღვაწეებმა და მამულიშვილებმა უნდა შევიდნენ და გაასწორონ ძველების შეცდომას, დაგვიან ეს პოლიტიკა და იზრუნონ ამ ორი ისტორიული ერის კეთილდღეობისა და მისი საღვთისო საქორებისათვის.

რა ესპიკროება დღეს სომხეთისა და საქართველის ხალხს? ორივე ერს მეტიმეტად ესპიკროება: „ძმობა, ერთობა და სიყვარული“, და ჩვენი, მოწინავე წარმომად- გენლების, წმინდა მოვალეობაა, ვიარათ ამ გზით თან- ხმობით, შევასწავლოთ და შევათვისოთ ჩვენს ხალხს ღრ- თიერთისადმი პატივისცემა, მოვალეობა და სიყვარუ- ლი. უნდა შევასწავლოთ, რომ „ჰაღა ერთობაშია“ და თუ ჩვენ ამ გზას გვერდს აუქვეთებ, ჩვენს ერებს მოელის კიდევ უარესი: გადაშენება და მოსპობა...“

ეს სიტყვები ისე მჭერმეტყველურად წარმოსთქვა ჩიხოსიძესა და ისე მომხიბლა, რომ ხუთ-ექვს კაცს ვკითხე: ვინ იყო ეს კაცი, და „სამეფო ვაგონში“, შავ აბრეშუ- მებში შეზურვილი ბერი? მეექვსე კაცისკან გავიგე, რომ პირველი იყო გ. წერეთელი, მეორე სომეხთა კათალიკოსი, კონსტანტინეპოლიდან მომავლი.

ამ დღიდან გ. წერეთელი შემიყვარდა. მის ნაწერს, წიგნებს და სტატიებს საწილო ეძებდი წასაკითხავად. 1893 წ., როდესაც ან. თ. წერეთლისამ „კვალი“-ს გამოცემა დიდად გიორგის ხელმძღვანელობით, უფრო დავუხაზოვდი როგორც ჟურნალის გამაგრებელი, ხში- რად მის ბიზანზე დავდიოდი.

ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა ჯგუფში, გარ- და ივანე მაჩაბლისა, გიორგისთან თავმდაბალს, გულ- წრფელს, ტკბილ მოსაუბრეს, მშრომელი ხალხის ნამდვილ მოყვარულს, საამხანაგო კაცს და ქვეყნის უნაგარო მოღვა- წეს არ შეგხვედრივარ.

1894 წ. ე. ნინოშვილის დაქრძალვის მეორე დღეს გიორგიმ ოზურგეთში წამოსვლა მოისურვა ჩემის თხოვნით და მივეცა.

დიღას, ათი საათი იქნებოდა, რომ ჩაის სმა გავა- თავთ და ქვედა სართულში, წიგნთ-საცავ-სამკითხველო- ში ჩავედით. სამკითხველოში ხუთმეტეოილდ მიონტელიგენ- ტო ახალგაზრდა იყო და თავ-თავისთვის კითხულობდენ. საერთო მისაღმებთან ერთად ახალგაზრდობას ეუთხარი, რომ ჩვენს წიგნთ-საცავს ესტუმრა, ყველა თქვენ- განის პირადად უტნობი „კვალის“-ს რედაქტორი გ. წე- რეთელი.

მთელი ახალგაზრდობა, ერთ კაცსავით წამოდგა და ამით პატივი სცა გიორგის.

გიორგიმ მადლობასთან ერთად სთხოვა ახალგაზრ- დობას დამჯდარიყვენ. დავსვდი.

ერთ წამის სიჩუმის შემდეგ ილაიონ თაყაიშვილი შეგნიეთხა: როგორ დაეკრძალეთ ე. ნინოშვილი, ვინ და-

ესწრო, ვინ შეამკო გვირგვინებით, ვინ წარმოსთქვა სიტ- ყვები და სხ. შემდეგ ვლ. დარჩაიშვილის საპროგრამოდ წარმითქმულ სიტყვის გააზრემო გამიართა საუბარი.

ბოლოს, იგივე თაყაიშვილია შეეკითხა გიორგის როგორა თქვენი აზრი თანამედროვე ბიუროკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე?

გიორგი ამ შეკითხვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩაავლ: ამდენ უტნობ ახალგაზრდა როგორ გამოუთქვა თავის პოლიტიკური მწამსი. იქით-აქით გახვდვის შემდეგ, მე შემიხმებდა.

მე ვთხოვარ: ჩვენს სამკითხველოში იღუა ვერ შემო- ბედვას; თავისუფალი და უშიშრათ ილაპარაკე მეტი. ამის შემდეგ გიორგიმ გაბედვით დაახსიათა, თუ რაგვარ ბრძოლას აწარმოებდა ქართველ პირველი თაობა, შემე- დევ მეორე, 1870 წწ. და რა წესით უნდა შეიცვალოს აწინდელი ბრძოლა მესამე თაობისა.

დღევანდელი მოწინავე და შეგნებული თაობა უნდა ცდილობდეს ხალხისა და მუშათა კლასის მომხადებას, მასში წერა-კითხვის გაგრეცლებას, გათვითცნობიერებას, კონდის შეტანას, აი, ამ გათვითცნობიერებული ხალხის შეერთება-მოკავშირებას, და ამგვარათ დიდი ლაშქრის შექმნას, რომელიც უნდა შედიოდეს ყველა ერის შვილი, რომელიც კი ჩვენში ცხოვრობს. ხოლო ამ გვარი მომხა- დებისა და შეკავშირების შემდეგ შეიძლება მტრის ციხე- სიმაგრეზე მისვლა და მისი დანგრევა...

ამ გვარი სიტყვა არც მე, და მით უფრო, ჩვენს ახალგაზრდობას არავისავან არ გაუფორია და პირველად გვესმა და დაუოყყარია შთაბეჭდილებაჲც დასტოვა ჩვენზე.

ქ. თაყაიშვილიაქ.

## პროლაშარული თეატრი

II

(იხ. „თ. და ც.“ № 1.—სადისქუსილი).

საქართველოს მუშათა კლასი ყოველთვის სოციალის- ტური იყო, ქართველი მუშა ყველგან მავარი ხერხეზიანი მაქსისტი იქნება.

მაქსისტული სულით დაიწყო ჩვენი მშრომელთა მასის პოლიტიკური აღზრდა.

მაქსისტული სკოლა დაედვა სარჩულად ჩვენი მშრო- მელ მასის კულტურულ განვითარებასაც.

ზოგიერთი მწერალი უარყოფს ჩვენში პროლეტარუ- ლი კულტურის ჩანასახსაც კი.

არ იყო ქართულ პოეზიასა და ბელეტრისტიკაში პროლეტარული მიმართულება?

ვინ იყო კარტელი ნინოშვილი და როგორი სულის არის მის შემოქმედება?

ვინ იყო ოსებ დავითაშვილი, ვინაა ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ხუჩუაშვილი და—დღეს სრულიად ახალ- გაზრდები: იონა ვაკელი, ს. ეული, პ. სამსონიძე, ა. მაშა- შვილი?

ხალხის პირში შეილები, მისი გულის ნადების ამ- სახველნი.

როგორი იყო ჩვენი თეატრი?

1923 წლის დეკემბერში ტფილისის პროლეტა- რიატმა ადლესსაწულა თავისი თეატრის 30 წ. იუბილე- რომელია ეს თეატრი?

ტვილისის სახალხო სახლი. ამ თეატრის საძირკველი ტვილისის მოწინავე მუშების ძლიერი ნებისყოფით არის გასკვნლი. 30 წლის წინად დაუპირდაპირდა ქართველი მუშა ე.წ. „თავად-ახანაურულ თეატრს“ და შექმნა თავისი საკუთარი სამლოცველო.

სახალხო სახლის შინაარსი დიდია და განუზომელი. ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენი კულტურის წინსვლას და გული შესტკევა ხალხის ესთეტიურად აღზრდისათვის, მან, უძველესი, იციის სახალხო სახლი და მისი ისტორიული როლი.

ქართველი ერის დუხჭირი პირობების დრის, როცა მონარქიზმის უკიდურესი რეაქცია აღზინაოგშინით გვიმასპინძლებოდა, ტვილისის სახალხო სახლის სცენაზე კულტურული სახით პოლიტიკური მუშაობა იყო გაჩაღებული. რამდენი რევოლუციონერი პიესა წარმოუდგენიათ კონტრბანდით სხვადასხვა სახელწოდებით, იმ სახელით, რომელიც ეანდარმერას ესამოფენებოდა!

სახალხო სახლი სამი ათეული წლის განმავლობაში ნამდვილი საყვრი იყო, რომელიც პროლეტარიატს რევოლუციონერი აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

სახალხო სახლი სსტკეად ებრძოდა „ქართულ თეატრს“, სადაც ხანდისხან შოინისტური პიესებიც იდგმებოდა, და სწორედ ამ ბრძოლაში მოიპოვა საქართველოს მშრომელთა დიდი სიყვარული.

არავის არ ახსოვს სახალხო სახლის მუდამ ინტერნაციონალურ სცენაზე კაცკომპიურ პიესების დადგმა.

სახალხო სახლი ყოველთვის იყო პროლეტარიატის მესვეურთა ხელში.

**სახალხო სახლი ყოველთვის იყო პროლეტარული თეატრი.**

როგორი შესვლულების არიან ხელისუფლების ხელმძღვანელი სახალხო სახლზე?

საქართველოს პოლიტიკური განათლების მეთაური დ. რუხაძე ერთ წერილში აღიარებს: „სახალხო სახლში მომზადდა არა ერთი და ორი პრაქტიკული მოღვაწე, რომელთაც შემდეგ დიდი სამსახური გაუწიეს მუშათა განათავსულების საქმეს. ის უტყუარი საბუთი, რომელიც აშკარად ღალადებს მუშათა თეატრის, კლასიურ ხელოვნების დამსახურებაზე და მომავალზე“.

შემდეგ: „ტვილისის სახალხო თეატრმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა მშრომელთა მასების წინაშე. ჩვენი მატერიალური დახმარება და ყურადღება ამიერიდან თავსებობს უნდა მივმართოთ კლასიურ-პროლეტარულ თეატრს შექმნა-აღორძინებისაკენ“.

ამგვარად ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველოში ოცდაათი წელიწადია არსებობს კლასიური თეატრი და, ბაშასადამე, პროლეტარული.

როგორია დღეს მისი პერსპექტივები?

ყოფილი სახალხო სახლი დღეს მოცემულია წითელი თეატრის სახით, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პროლეტკულტი.

ეს უკანასკნელი სრულიად ახალგაზრდა ორგანიზაცია არის, რომელიც წითელმა ოქტომბერმა წარმოშვა.

რა აქვს მიზანი დასახული წითელ თეატრს?

კლასიური ხელოვნების გაღრმავება.

დღეს ევროპის სინამდვილეში ხელოვნების დარგი ათასწარი სკოლად არის დაყოფილი: სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი და სხ. მრავალი ონიმი, მაგრამ მუშათა კლასი მათ ვერც ერთს ვერ მიიღებს, ვერ მიიღებს იმიტომ, რომ ყველა ეს მიმართულება შექმნილია ბირჯაზე მოღლოდ ბურჟუაზიის შესაქცევად.

განათლებული ევროპის ხელოვანი ბურჟუების გასართობათ კლოუნობენ კიდევაც. მაგრამ ჩვენს თეატრს და ხელოვნების ყოველ დარგს უნდა ჰქონდეს აღმზრდელითი ნიადაგი, რადგანაც მათ უნდა მოამზადონ მომავალი თაობა მოსალოდნელი სამკვროსასისი ენათა კლასიური ბრძოლისთვის. წითელი თეატრის მიზანი სწორედ წმინდა კლასიური თეატრის შექმნა უნდა იყოს.

შესძლებს თუ არა პროლეტკულტი ასეთი თეატრის შექმნას?

თუ სახალხო სახლმა მხოლოდ და მხოლოდ მუშების დახმარებით იარსება ოცდაათი წელიწადი და, რაც მთავარია, ამ წლის განმავლობაში წუთითაც არ უღალატნია თავისი მოწოდებისათვის, დღეს როცა ხელისუფლება სავსებით მუშების ხელში იმყოფება, წმინდა პროლეტარული თეატრის აყვავებაში ევეცდ არ უნდა შეგვიღობდეს.

ფილისტრები გაიძახიან: „წითელი თეატრი ვერ შესძლებს არსებობას. ზომ ხელადი სისტემატიური წარმოდგენების გამართვა დღემდე ვერ მოახერხაო“...

სახალხო სახლში ყოველთვის იყო სისტემატიური წარმოდგენები და ხალხიც ბევრი ესწრებოდა, მაგრამ ამ სეზონში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ.

რაშა საქმე?

იქნება ვინმე დეზერტირობს, სახელით წითელ თეატრთან არის დაკავშირებული და სახრავად სხვა ფეატრებს ეკუთვნის?

პროლეტკულტმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რომ წითელ თეატრში წარმოდგენები სისტემატიურად იმართებოდეს და ყოფილი სახალხო სახლის აუდიტორია ძველებურად მუშებით აივსოს.

ტვილისის პროლეტარული თეატრი უნდა იქნეს მთელი სხვა თეატრების ტონის მიმკეში. წითელმა თეატრმა თავისი სტუდიაში უნდა გამოზარდოს მუშა-მსახიობნი, რომელნიც საქართველოს ყველა კუთხის სახალხო სახლებს გასწვდებიან. პროლეტკულტმა უნდა შექმნას ასეთი მდგომარეობა. პროვინცია აქედან უნდა დეზულობდეს დირექტივებს.

ხელისუფლება თავის მხრივ ყოველწინარად უნდა დაეხმაროს პროლეტკულტს.

ასწინ პროლეტარული თეატრი ფართოდ გაშლის ფრთებს... მიწის ონიოყივრს დაუბრუნდება და ქართული ხელოვნება. სინამდვილეს დაუკავშირდება.

# საწოგადო მოღვაწენი

მ. დ. ლიხ. კონ. მარსთაძი



ადამიანის მიმართ. პირველ შემთხვევაში ის უბრალო მოხელეა, მეორეში კი დიდი ადამიანი: ის ადვილად სწვდება ხალხის გულს და იმორჩილებს მას.

სწორედ ამ უკანასკნელ ექიმთა რიცხვს ეუფთვნოდა განსვენებული დიმიტრი ერისთავი. -- ის თავის მოვალეობას ეკიდებოდა დიდად უბრალო და ყოველ საშუალებას ხმარობდა ტანჯვაში მყოფი ადამიანი ხელსა.

დიდი მომზადებული იყო პრაქტიკულათ და თეორიულად: სწეულებათა ყოველი დარგიდან ჰქონდა ცოდნა-გამოცდილება; ერთსა და იმავე დროს იყო მშვენიერი დაკვირვებელი შინაგან სწეულებათა მყოფნი და დოსტატრობაშიაც მარჯვე ხელისა.

დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული გურიაში. „ჩვენი ტიტულო მომიჯნავენი, ის მიწეღისი“ -- ამბობდნენ ძალზე შიშვნებულნი ავადმყოფნი.

მწერლობაშიც ცნობილია: დაწერილი აქვს რამდენიმე მოთხრობა და პიესა („ნაქეთები“, „დადსრულელები რომანი“ და სხ.).

დიმიტრის მოღვაწეობა მაგალითი იქნება ყველა იმართვის, ვისაც სურს ემსახუროს ჩვენი ხალხის ჯანბრთვითსა და წინმსვლელობის საქმეს.

## გრიგოლ კუნჭულია

# თეატრები პროვინციაში

ჩვენი ეროვნული ორგანიზმი, ექვს გარეშეა, კულტურული სისხლნაკლებობით არის დაავადებული. ასეთ გარემოებაში, ჩვენ გვიხდება დიდი ბრძოლების გადატანა მასკების გათვითცნობიერებისათვის. გარემოება და დრო გვიკარნახებს, ჩვენი სახელობო პოლიტიკა გამოყენების სფეროში ვადვიტანოთ. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ კულტურულ საქმიანობას, რომელსაც ჩვენ პროვინციაში ვაწარმოებდით.

საქართველოში ყველაზედ ბევრს თეატრზე სწვრენ და ლაპარაკობენ. მასების კულტურული გათვითცნობიერების თვალსაზრისით, ასეთი მოვლენა ყველაზედ ჯანბალია და გამართლებული.

დღეს აღარ იწვევს დაეას თეატრის დიდი მნიშვნელობა და დამნიშნულება. თეატრი ჰქმნის ადამიანის სულის ორგანიზაციას, ამაღლებს გრძობებს, ასახრობებს ინტელექტს და იწვევს იდეების გადაშენებას. უნდა

ითქვას გაბედულად, რომ ჩვენი კულტურული მიზნების საჭიროებისათვის, თეატრი ყველაზედ უკეთ გამართლებს თავის თავს. ეს მით უფრო მართალია, რომ ქართველი საზოგადოება ტრადიციულად და ისტორიულად შეეხარა და თეატრალურ სახეობებს.

მაგრამ ჩვენს თეატრებში ყველაფერი არ არის როგორ ჩვენი პროვინციის თეატრალურ ხეობა იფიქრებდათ ძალიან მარტივი დებულებები. ჩვენი მიზანია, ზოგიერთ პრინციპიალური ნაკლის აღნიშვნა, იმ იმედით, რომ ეს იქნება უკანასკნელი და გამთიერების საჭიროებას აღარ გამოიწვევს.

აზრი და იდეა მაშინ იჭრება ადამიანის ცნობიერებაში დიდი პროდუქციით, როდესაც მთელი მისი სულიერი გაწეობილება სამისოდ მზათა და მომწიფებული.

შემოქმედების ფართე არეში ხელოვნების პრიმატი ამ საკითხს უნდა დავუკავშირო.

მშვენიერების განცდა ადამიანის თანდაყოლილი ნიჭია და ყოველი ჩვენგანი ბუნებრივად გაუბრის მახინჯს და აესთეტიურს. სილამაზე -- ფორმაა საგნის, და მისი გამოყენება ყოველ ნივთს და მოვლენას ცნობიერებისათვის ადვილობისდაბოთ ხდის. უკანასკნელი დროის პიტილოგიურმა მეცნიერებამ, ეს გარემოება ფართედ გამოიყენა პედაგოგიური მიზნებისათვის. მით უმეტეს, ეს ითქმის ხელოვნებაზე, სადაც მშვენიერება და სილამაზე პრინციპულად აყვანილი. აი რატომაც დიდი მნიშვნელობის ის საკითხი, თუ როგორაა განსახიერებული ესა თუ ის იდეა მხატვრულ ნაწარმოებში. აქ კითხვა პირდაპირ ასე სდება: არ კმარა. რახ სწერ... საკითხავია: როგორ სწერ...

ეკრძოდ თეატრზე იფიქრ ითქმის. რაც უნდა დიდი იყოს იდეა პიესის, იგი მოკლებული იქნება ყოველგვარ ლირებულებას, თუ მისი სცენიური განსახიერება არ სდგას თავის სიმაღლეზედ.

ვადებდით ჩვენს პროვინციის თეატრებს. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ამ მხრით იქ ბევრია არა თუ უკმარი და მიუღებელი, პირიქით -- საშინელი და მხატვრული გემოვნების შემოხავეი.

ჩვენ გვესმის პროვინციის თეატრების ბედი. ჩვენ არ გვაიწყდება მათი მუშაობის მძიმე პირობები. მაგრამ ძალიან ხშირია, როდესაც პირობებიც და მამაკაყოფილებელი ფულაც საქაბო, ხოლო დაუდგვრობა და ხელმძღვანელის უყოლობა აქ იმავე შედეგებს იძლევიან.

პროვინციის ყოველ თეატრალურ კარგად უნდა იცოდეს, რომ აქ ვაჩერება შეუძლებელია. ასეთი მდგომარეობის ფოკუსი სწორედ იმაშია, რომ თეატრი იძლევა მებრუნებულ შედეგებს. ხალხი ასეთ თეატრს გულციკად ეკიდება და მის ხელმძღვანელებს „უსაქმო ხალხს“ ეძახის.

რამდენი შემთხვევაა პროვინციის თეატრებში, როდესაც სცენისმოყვარენი სრულიად მოუმზადებელი გამოდიან სცენაზე ეს ხომ ადვილად საწვდომი საქმეა! გარდა ამის, რა ჩვენება და გარედა კარნახი უნდა ცუდებრთუარის სათანადო შერჩევას? ყველა ინტელექტუალურ შეუძლია თავისი ძალები და სცენიური ტენიების მიხედვით აიჩიოს პიესა.

ამ საქმის მოგვარებას ჩვენ ვეფიქრობთ „ხეივანიდან“. მთავარმა სახელოვრო საბჭომ პირდაპირ ბრძანების კლიოთი უნდა გააფართოლოს პროვინციის თეატრალები. მა-

გრამ არც ეს კმარა. საჭიროა საქმიანობის გამოჩენაც. ოციციკლიური ცნობებიდან ვიცით, რომ სულ მოკლე ხანში საქართველოში მოძრაივ თეატრი იქცევა საკმედ. სახელმწიფო აკადემიური დრამა, საქართველოს მრავალი კუთხის შემოვლით, დიდ დახმარებას გაუწევს პროვინციის თეატრალბს. ეს იქნება კულტურული რევოლუცია და მავალიის ჩვენება. საქერაო მწოლოდ აღდგილობრივმა სკენისმოყვარებებმა მეტი პუნქტუალობა გამოიჩინონ.

ყო ელ დღე მოდის ახალახალი ცნობები სხვადასხვა დამა-სოფლებში თეატრების გახსნის შესახებ. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს მოვლენა ავადმოყოფურ სენად გადაიქცა, რომელიც ჩვენს ძალებს აღმებატება. თუ ამ ახალ თეატრებში ისეთივე სული გამეფდება, რომლითაც, საუბედროდ ცოცხლობს ბევრი პროვინციის თეატრი—საქმის ინტერესებისათვის უშჯობისთა თავშეკავება და მეტი კრიტიკული მხედველობა.

არ შეიძლება თეატრის სახელით ხალხს მოაჩვენო ცოკი და ბოლოვანი. ვისაც უყვარს კულტურა, ის ეცდება ებრაოლის ამას. ამაზედ სიტყვა უნდა გაისმას, როგორც ქვევრიდან, ისე ზევიდან.

კენჭავრი

### რუსული პირო

„ამალიბა“ 2 მერია 14 ნაწ. გამოც. რუს. სახ. კინოსი 1924.

კინოში ფანტაზია ერთი აუცილებელი პირობაა. იგი ვისაქანს აძლევს კინოსთვის სახეობის გამოსაჩენათ და დადგმისთვის საუკეთესო მასალა.

დასავლეთის კინოებში ამას ამართლებენ. იქ ეს ძალეულია ტენისით. ტრიუკით.

სკენიარი სრულდება. დადგმა ამართლებს მას.

„აელიტა“ ერთ ასეთ სურათად ჩაითვლება.

აქ არის ფანტაზია. მოცემულია მიწა—სინამდვილე, მარსი—ოცნება. მაგრამ ასეთ პირობის დროს ექსტაზი ნელდება სკენების დაულვაგებლობის გამო. სკენიარში ფანტაზია მაინცა და მაინც არაა გამოყენებული. მარსის ცხოვრების ასახვა უფრო ძლიერი უნდა ყოვილიყო თვისის საოცრებით და საკვირველებით.

სურათში ყურადღებას აიყრობს დეკორაცია, შესრულებულია კუმისტური მოსმებით, დაძმულია: მარსი გარედან დანახული.

მარსიანელების კოსტიუმები არაა გამართლებული. იგი სხვა სახით უნდა ყოვილიყო მოცემული.

სკენიარის დამუშავებას აკლია ერთნაირი სკლის დონის ალება:

სიმშლი რუსეთში. მატარებლები სავეგ დამშუულეებით. თეატრში ბრბო დამშუულა, რევოლიუციით შერხეულა—ეს სურათში ერთგვარი დეფექტებია. ეს არის შეტი ბაილი სურათის. ფანტაზია მარსზე. ეს ერთი თემაა. საჭირო არ იყო სხვა ხაზების შემოტანა.

სურათის აინტერესებს ორი არისის მშვიდი შეთავსება: მარსი სავეგ ოცნებებით. მიწა კი სინამდვილე. ქუჭკუი.

მეტად ვეჭვტარია აღამაინის გამოჩენა მარსზე. რაღაც უნაჭარის ყრუანტულით მიდის ყოველი სურათი. კარგი დღეგმა რევოლიუტია მარსზე. აქ ლოსი მოდის მიწიდან თვისი ცეცხლთ. რევოლიუციით მიწიერიობით.

კარგია აგრედვე მანქანის აფრენა. შესაძლებელი იყო მისი უფრო ფართოდ გაშლა.

სურათი სავეგა კონტრასტიულობით. იგი მეტად აგტივაციური ხასიათისაა.

შრომა და სინამდვილე, წინააღმდეგ ოცნებების და ძიების

ბიულ სურათს ახალისებს კომიკური ნაკვეთები. ეს კინოში აუცილებელია.

არტისტები ყველგან გამართულად იყვენ. წერეთელმა დასძალია ლოსის როლი. ამ სურათში გვეჩვენება დიდ კინოსახიობად.

„აელიტა“ ერთ კარგ სურათად ჩაითვლება რუს. სახ. კინოს გამოცემებს შორის.

კ. კ

## სად რა პითლება—ზინ რას აპითიუს? ვეზაადნეთ სახალხო სახლი ვისასა-ქელვად

თელავში დაარსდა დრამატული წრე, რომელშიაც შედის 80-დე სკენის მოყვარე. დეკემბრის 1-ელ რიცხვებში ჩიყვარა საძირკველი მუღმივ დრამატული წრის არსებობას. თავი მოიყარეს აქ მყოფმა ძველმა სკენის მოყვარებებმა, შეიყვანეს ახალი ძალები და ფიცი დასდეს, ერთგულად ემსახურონ თელავის დარბ. სკენის და მქიდრო კავშირით სძლიონ ის დაბრკოლებები, რომელიც არსებობდა დღემდის. ამხანაგებმა აღნიშნეს მთავარი მიზეზები, რაიც არ აძლევდა საშუალებას თელავში მუღმივ წრის არსებობას. ეს იყო ერთის მხრივ ეკონომიურად გაქირვებული მღვამარეობა სკენის მოყვარეებისა და მეორე—უფრომთავარი—გამეფებული ჭორიკანაობა, ინტრიგა და სხვა ამგვარი, რაც აშორებდა ამხანაგებს ერთმანეთისგან. ყრილობაზე გამოიმუშავეს ამხანაგური დისცილინა, აირჩიეს გამგეობა და შეუდგნენ პროუკავშირებში კლებში სისტემატიურად წარმოადგენების მართვისას.



1. სოსო მაჭავარიანი—პროფეკციონებთან არსებულ კულტანზე. გამეფ. 2. კოტე ქელოძე—ძველი სკენის მოყვარე, მსახიობი, შ. გ. ორი კ. ხუთაშვილი—სკენის მოყვარე (სკენების ძველი მუშა). 4. ვახტანგ ბაკურაძე—ძველი სკენის მოყვარე და ნ. ი. ბერძულაშვილი—ც. ნის მოყვარე.

მათივე თაოსნობით წარმოადგენის წინ იცემა ცოცხალი გაზეთი, რაიც დიდ ყურადღებას იქცევს საზოგადოებისას. აქვე დაარსდა მომღერალთა გუნდი ტიტ მგალობლიშვილის ლოტბარიობით. გუნდში შედის 27-დე მომღერალი და სწავლობენ ქართულ რევოლიუციონურ და სხვა სიმღერებს.

ჩვენდა სასიხარულოდ ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა კულტურული მუშაობა თელავში და ახალი ძალებით მომზადებულნი, ემზადებიან სახალხო სახლში შესვლას, რომელიც დამთავრდება ამ ცოტა ხანში.

უსურვით წინსვლა და უწყვეტი სიმსახური ხელოვნებისადმი.

კახელი სოსო

### მ. ორახელაშვილის სახელობის ნავთ- ილწის რ. ზვის მუშათა კლუბი

ნავთილწში შარშან ადგილობრივი კულტო-  
მისიამ ერთ პატარა ოთახში მოაწყო სხვადასხვა წრის  
მეკადნიერება: საერთო განათლების, პროფურე და სხ.  
ამავე პატარა ოთახში კლუბის გამგის კ. როშინის თაოს-  
ნობით იმართებოდა სხვადასხვა ინსტერიროვა-გასამართ-  
ლებები და რეაქციები ნაირ თემებზე. თავსდებოდა 60 —  
70 კაცი, ლაიკ ვერ აკმაყოფილებდა აქაურ მუშა-მოსამ-  
სახურეთა კულტურულ მოთხოვნილებას. ამიტომაც როცა  
ერთმა პატარა გგუფმა განზრახა კლუბის აშენება, მიე-  
ღმა მუშებმა ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა და 2—  
3 თვეში შაბათობით და საღამოს მუშაობით ააშენეს  
მშვენიერი კლუბი. ზეიმიტ ვახსნა მაისის 1. მუშების  
მოთხოვნებით კლუბს დანერქვა მამია ორახელაშვილის  
სახელი. სხვა წრეების გარდა მუშაობს ქართული დრამა-  
ტიული წრე კ. როშინის ხელმძღვანელობით. დადგმულ  
პიესებში აღსანიშნავია: „სულელი“—შოტავაშვილისა და  
„სოფლის გმირი“—ირევილისა. უკანასკნელი მეტად  
მხატვრულად იყო დადგმული, რაიც დიდ სიმღერს წარ-  
მოადგენს ამ სცენაზე (დეკორაციის უქონლობით). საერ-  
თოდ დრამაში მუშაობა ნაყოფიერად მიდის. მხოლოდ  
საქირთა კლუბს დახმარება მიეცეს დეკორაციის შესაქე-  
ნად. Homo.

### სამთავრო მიმოხილვა

#### ქართული აკადემიური დრამა

„გ ა ა ზ ა უ რ ე ბ უ ლ ი მ დ ა ბ ი ო“—  
მოლოცვის. დადგმა: კ. მარჯანიშვილის  
და ა. ახმეტელის. (ინაგვის 22. 1925 წ.)

მარჯანიშვილს აქვს თავისი რეპერტუარი: „მალ-  
შტრუკი“, „ლილია“, „ინტერესთა თამაში“, „შპეკტაქლი“  
და სხ. მოლოცვის „გააზნაურებული მდაბაო“ მარჯანი-  
შვილის რეპერტუარის გარეშე სდგას. მიუხედავად ამის,  
იგი სასწრაფო პიესად არის გამოცხადებული.

მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველ პიესას მარჯა-  
ნიშვილი ეყიდება თავისებური მზრუნველობით და საქუ-  
თარი თეატრალური სტილით. ასე იყო დადგმული ი.  
გედევანიშვილის „სინაოლე“—ასევე განსახიერებელი  
„გააზნაურებული მდაბაო“.

მარჯანიშვილის დადგმის პრინციპი სინთეტიზმის  
დახმარებითაა. მრავალანობის სინთეზი აქ დადგენილია  
ესეთი უკიდურესობამდე, რომ ყოველი ინდივიდუალური  
მოქმეტი საერთო მთლიანობაში იხსნება. შეუძლებელია  
რომელიმე ხაზის პრიმატის მოქმედება: ყველაფერი ერთი  
მთლიანი განათებით არის მოცემული.

გასაგებია მარჯანიშვილს რეპერტუარის შერჩევის  
პრინციპი. იგი უნდა იძლეოდეს თეატრის ყოველი მო-  
მენტის გაშლის საშუალებას. აკტიორი, მუსიკოსი, დეკო-  
რატორი, ბუტაფორი—ყველა გრძნობს შემოქმედების სუნ-  
თქვას, ხოლო რეჟისორი—მთლიანობის პულსს.

„გააზნაურებული მდაბაო“ სავეგებით ემორჩილება  
ასეთ თეა ზრალურ აპერეკეციას.

დისანიანსი შეაქვს მხოლოდ დეკორაციებს. ძველი  
ყვილის ტილოები—მელანქოლიას იწვევენ.

მსახიობებში შეუძლებელია რომელიმე აკტიორის  
გამორჩევა. ყველა მათგანი გრძნობს საქმის სიყვარულს  
და რეალური განსახიერების სულს.

გ. 5.

თურქული აკადემიურ დრამის დასმა რუსთაველის  
თეატრში იანვრის ცხრას, ევლოკაიოვის რეჟისორობით  
წარმოადგინა „რევიზორი“.

დიდის ხელოვნებით ასრულებდნენ გოროდინს—ყურ-  
ბანივი, ხლესტაკოუს— ისაპანსი, ისაბა—სალხაბო, ზე-  
მდოიანკას—ხალილოვი, გოროდინის მიუღლეს—ქამარ და სხ.  
ნუმი (ქართველია, თურქულია), შეუდარებელი იყვნენ ბობ-  
ჩინსკი (სცივი) და დობინსკი (შავკალიცელი). კარგი მსა-  
ხური წარმოვედგინა დოვაჟლუზ აბასოვმა. საუცხოველ  
იყო ისმედ ხანუმი (სომხის ქალი) გოროდინის ასულის  
როლში. საერთოდ ანსაბლს ხელ უწყობდნენ ულია-აქა-  
რელი (ლოაკინ ტრაპკინი), ჰუსეინივი (ფოტემისტერი)  
ალაკიროვი (მზრუნველი). მეტად ცოცხალი ტიპები შექმნეს,  
ტანიალიდამ (მტრებია)—მჭედლოს ცოლი, ასტიკამ (სო-  
მეხია)—თურქი ოფიცრის ცოლი, აბასოვმა ვიკტორ. სა-  
ერთოდ პიესამ წყყობარად ჩაიარა. უსაგანო.

**ქართ. ენარელო დრამატ. კოლექტივმა „კადიმა“-მ**  
ყ. მც. თეატრში იანვ. 12 წარმოადგინა ქართულ ენაზე  
პირველად ლ. მეკლერის ისტ. დრამა „ხასა გიგანა“,  
მეღე გებრუდიან ნათარგმნი ნათან ელიაშვილის მიერ.  
პიესა აღებულია ძველ ისრაიელთა ცხოვრებიდან, რაიც,  
ტომობრებ ცხოვრების დროს, ერთის ქალის მიზეზით  
წაიკიდნენ, ურთიერთი ევლტეს ზნე-ჩვეულებების შე-  
ღახვის გამო. პიესას არდგენდნენ ტფ. სალიკვიდაციო  
სკოლაში ნასწავლი ქართ. ენარელო, პიესა შეგნებით გა-  
ნასახიერეს, განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო ითხა-  
ბელ იოსებაშვილის ასულმა (თამარი), ფ. ბაზანოვმა (ამ-  
შალომი), ხ. ბაზანოვმა (შეგა). პიესაში მონაწილეობდნენ:  
ენარელო ბავშვთა გუნდი, მოცეკვავენი და სხ. პიესის და-  
წყებამდე გერკულ ბაზანოვმა შინაარსიანი სიტყვა წარმო-  
სიტყვა ქართულ ენარელოთა კულტურულ მიზნებს შესახებ.  
წარმოადგინს დაწყებამდე ბავშვებმა ენარელოდ იმღერეს  
ინტერნაციონალი, ხოლო დასასრულს—გვიგე ქართულად.  
ბოლოს გამართა პატარა ზეიმი. სცენაზე ჩამყრებულ  
იყვნენ 102 შრომის სკოლისა და სალიკვიდაციო სკოლის  
მოწაფენი, დასი, სტუმრანი, „კადიმა“-ს განგებო და სხს  
პირველი სიტყვით მილოცა „თ. დ. ც.“ სახელით იოსებ  
იმედაშვილმა და სხვათა შორის აღნიშნა ამ მოვლენის  
დიადი მნიშვნელობა, ქუთ. ენარელო სტუდენტობის სახე-  
ლით მიესალმა გერმონ მეგრელიშვილი (თქვენს მაგალთს  
ჩვენც მივბაძავთო), მშობიანი წრის სახელით—ილ.  
მოიღვრევილმა, დავიდ ბაზანოვმა ქართულ ენარელოთა  
კულტურულ საქმიანობა შესახებ. უჩიარია.

**მე-8 ე შრომის სკოლის მოწაფეთა დრამატულმა**  
წრემ კვირას, იანვ. 13-ს გამართა საღამო, საკუთარი  
დრამატული წრის დაარების აღსანიშნავად. საღამოს  
ხელმძღვანელობდნენ: ქ. ტატიშვილი და ე. ქანკვეტაძე.  
წარმოდგენილი იქნა „ლიონელი“ და „თავისუფლების  
მოტრელოღე“. ცუცხა ჩიხლაძემ ვააკეთა მომხსენება, თ.  
ვარდანიშვილმა წარმოხსენა სიტყვა დრამატული წრის  
მნიშვნელობის შესახებ, რაიც დაბოლოვა ასე: „გაუმარჯოს  
ამ წრის დამაარებელს ქეთო ტატიშვილს და მის მოწა-  
ფეებს“, რასაც დიდის ტაშით შეგვდა ხაი. შემდეგ ნ.ხლ  
რამიშვილმა იტყვა:

„დაპტიებულნი იყვნენ სხვადასხვა სკოლის მოწა-  
ფენი. ისა კამომ კარგად ჩაიარა.

ვაშა ქეთო ტატიშვილს, ე. ქანკვეტაძეს და დრამა-  
ტიულ წრეს! ვაშა მათს ნამოქმედარს, გაუმარჯოს მათს  
ხელოვნებას და მისწრაფებას!

მე-8 ე შრომის სკოლის მოწაფე ქეთო იმედაშვილი.

# სახელოვნო ქრონიკა

## თეატრი

**საოპერო თეატრი** ქართულ მსახიობთა იმხანაგობის მიერ ოთხშაბათს იანვ. 28 წარმოდგენილი იქნება „ოტელი“.

**რუსთველის თეატრი** ხუთშაბათს, იანვ. 29-ს, „დურუჯი“-ს არსებობის წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება სლამო: წარმოდგენილი იქნება „შპიკლემენს“ და წაიკითხავენ დეკლარაციას.

**წითელ თეატრში** იანვრის მიწურულს დაიდგმის „სამწუხარო შედეგი ანუ ჯანაყ გურიანთა“, ევ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული. პიესის სტავს ალ. წუწუნავა. დღია მზადება. მონაწილეობს 200 დე ქალი და კაცი.

**ქართველ ებრაელთა** დრამ. კოლექტივი „კადიმა“ მოკლე ხანში წარმოადგენს გ. ბააზოვის პიესას „საიდუმლო მინა“-ს, ტრაგ. 5 მოქმ.

## დრამატურგია

**ახალი პიესები** დასწერეს: ა) ნ. ინსარიძემ—„ლეონი ყველგან“, 3 მოქ. მოწონებულია საქართველოს პროლეტკულტის მიერ, დაიდვა წითელ თეატრში, ბ) შ. პონტოსპირიძემ „პაჩაზის ლანდი“, 3 ჩვენებად.

**„წმ. იოანე—ორღიანელ ახლო“-ს**, ბერნარდ შოუს პიესას გერმანიიდან სთარგმნის ჩვენი თანამშრომელი თამარ გოგოლაშვილი, რომელიც ამ ეამად გერმანიაშია. ამ პიესას გერმანიაში შესანიშნავად სდგავენ და დიდი გამარჯვებაც აქვს.

**„რევოლუცია ქიმერების“** შ. პონტოსპირიძისა, 4 ჩვენებად, 32 გვ. თ. 50 კაბ. გასასყიდად გამოვიდა.

**ბ. ახოსიანელის** დაუმუშავი დრამატული პოემა „კენი და აბელი“ (ხელნაწერი) პოეტმა ი. გრიშაშვილმა გადმოკვტა, პოემას მოკლე ხანში დაბეჭდვავი.

## მუსიკა

**პარიზიდან დ. არაყიშვილს** მოუვიდა წერილი, რომელშიც ცნობილი მუსიკოსი ნ. ჩერეპნინი (ჩვენი კონსერვატორიის ყოფ. დირექტორი) თხოვლობს დ. არაყიშვილის ქართულ სიმღერებს და სხვა ნაწარმოებს. ამას წინად „Humanité“-ში ეწერა ჩვენი ავტორის ნაწარმოების შესრულების გამო, ესლა სხვა პირებიც თხოვლობენ რომანსებს სხვადასხვა ინსტრუმენტისათვის თხოვლობენ. დ. არაყიშვილი უგზავნის მოთხოვნილ ნაწარმოებთ.

**ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდის** კონცერტები გაიმართება ტფილისის ყველა უბნებში. გუნდში მონაწილეობას იღებს 100-მდე ქალი და ვაჟი, რომლებიც შესრულებენ როგორც ქართულ ხალხურ, ისევე რევოლუციონურ და ევროპულ კლოებს, საგანგებო მოწვევული იქნებიან გუნდის ვარემო საულეიშვილი სახალხო მომღერალნიც. პირველი კონცერტი განზრახულია რუსთაველის თეატრში.

## მწიგნობრობა

**„ქართული ლიტერატურის ისტორია“—პროფესორ კონდელი კეკელიძის, ტომი მე-II. (მე-XI—XVIII-ს.).** რედაქციამ მიიღო აღნიშნული შრომა. ქართული მწიგ-

ნობრობის ისტორიაში მისი გამოჩენა უნდა აღინაშინოს დიდი ეროვნული სიხარულით. ჩვენი გამოცემული შესანიშნავად—თბამ ჩიქვანაიას მიერ, რომელსაც ეუფუტენის არა ნაკლები პატივისცემა იმ შრომის და სიყვარულის გამო, რომლითაც გამოცემული ეს წიგნი. წიგნი შეიცავს 225 გვერდს და ფასი აწერია 10 მან. ჩვენ გვჯერა, რომ იგი და შეინებს ყველა ქართველი ოჯახის მაგიდას. მოკლე ხანში ჩვენი რედაქცია დაბეჭდავს ვრცელ ბიბლიოგრაფიას. **„ადამიანის წარმოშობა“** ანბ. გრ. გოგობერიძისა მეორე შეესრულებული და შესწორებული გამოცემა, იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა.

**განათლების ხაზ. კომისარიატრის სოციალ-დემოკრატული** მთავარ-მართველობის საინტერესო-სამხატვრო სექციის ოცდაპიტი გამოცემული ათამდე სხვადასხვა შინაარსის სამუშაო წიგნაკები მივიღეთ. წიგნაკები ვფერადი სურათებით დასუფთებულია და ლამაზად გამოცემული დაწერილობით შემდეგ.

## სხვადასხვა

**აკაკის** გადაცელებიდან 10 წ. თავი სრულდება ძვ. სტილით იანვრის 25 (ახ. სტ. თებ. 8).

**მარიამ გარიყულის** სამწერლო მოღვაწეობის 20 წ. შესრულების აღსანიშნავად ქ. გორში ამ მოკლე ხანში გაიმართება შესავერი საღამო. საგანგებო მოხსენებას მ. გარიყულის სამწერლო შემოქმედების შესახებ წაიკითხავს დამსახურებული მასწავლებელი და სახალხო ლექტორი ალ. გარსიანიშვილი. საღამოში მონაწილეობისათვის ტფილისიდან გაწვეული არიან მსახიობნი, მომღერალნი, მუსიკოსნი და მწერალნი.

**სახალხო თეატრის** ერთ დამაარსებელთაგანის მუშა-მსახიობ გიორგი ჯაბაშვილის 35 წ. თბილეს გამართვის შესახებ ვახ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა კრებაზე იანვ. 14 აღიძრა საკითხი. კრებამ სურვილი გამოთქვა დაწერონ წერილები ამ თბილეს გამართვას შესახებ.

## გამა. შვილი



— შეილო, სიდ მიხვალ, ვისთან დადიხარ, რას აკეთებ, დღე - ღამე სახლში ვერა გეხდავი—ოჯახს მოვლა უნდა თუ არა?

— უკაცრავად, ამხანაგო მამა, არა მცალიან, მაგაზე მეტი მოვილაპარაკოთ! —!!!

ხელმძღვანელი: კოლეგია.

რედაქტორ-გამომცემელი: იოსებ იმედაშვილი.

საქართველოში ჩვენ ვაწურობთ ზირველ პროცესებს ეს არის „კომუნისტი  
გაღმართნი“

დარწმუნდით, რომ საჭიროა კატასტროფა: ანთიპა: გარდაცვალება

ეს არის ავადმყოფი მსოფლიო სერსემბლის გადატეხა

# „სომენაგბულებით“

ამისთვის უფრო მოგვსჯეს „გაღმართნი“ ტფილისიდან

## დასრულებული: იწავლეთ: იხილეთ:

ბირველი ჩვენება ბოეზიის ერუანტელის იწყება „სომენაგბულების გამოცხადებით:

**ჩვენი ტერიტორია: დავგარსხდებით უთაოდ (?)**

უგელა ზოეტებს, და მიმართულებებს

### უმიკინეთ თვითგაგულთა

ვი იანვარს დასაღამოვდებარ არაგბულებრივად

## ყველა ლიტერატურულ კარასკეობაზე

ფაბრიკატები: 1) სიტყვები, 2) მუსიკა, 3) დეკლამაცია, 4) ზოეტები.

## == დიდი აუქციონი აზროვნების ==

ყველა „სომენაგბულე“ თან მხირო თეატრში (რუსთ. თეატრ ზირდან.)

ზარდლი „ელდა“

სერია „გადატეხილი ხარხაელი“

ზოესიის ქალაქი  
27.1—25 წ.

- |                     |
|---------------------|
| 1) მანგო აოლიუს     |
| 2) მანდარ დანდელი   |
| 3) ქლიმენტი თეფსაძე |
| 4) დავით ფარაძე     |

საქართველოს მეთროპოლის უმაღლეს საბჭოს

ჭრა-პერვის მრეწველობის სახელმწიფო  
ტრესტი

„გრუზშემპრომ“



ვიხსნ სურს იაზარ და კოხტათ ნიხვას  
— ის უეჭველად წავა —

**გრუზშემპრომის**

მაღაზნიეზები:

მაღაზნია № 1

რუსთაველის პრ. № 11, ელს. 11—38

მაღაზნია № 2

ზადატოვის კუნძული, ელს. 17-96

ყოველგვარი ტანისამოსი:

**კოსტიუმები**

მამაკაცის, ქალუგის და ბავშვიანისთვის

ზალტო, წამოსასხმადი (ძირნაქლენთი), ფრენჩი, შარვალი, ბლუსები და სხვა



ვიილაგა შეკვეთა

შველა სახის ტანოსაცმელზე

კოლანქონტიულ და სხეელმჭიო

დაწესებულებებს

**დიდი შეღავათი**

**ქარსანა № 1**

მელიქოვის ქუჩა № 5

**ქარსანა № 2**

შადატოვის კუნძული

მთავარი კონტ. და დირექცია

მელიქოვის ქ. № 5, ელსმ. 11—67

1925 წლის 1 იანვრიდან ს.გ.უ. საბჭოთხან დაარსდა სრულიად ახალი საბჭოთხი რეპუბლიკის

# საქართველოს ტყვის მრეწველობის



## ტ რ ე ს ტ ი



რომელიც 16 აგ იანვრიდანვე შეუდგა თავის მოქმედებას და უკვე დაიწყო ხე-ტყის ყოველგვარ მასალის დამუშავება

საქართველოს სსრ-სთვის კუთხით მას მოემზება შემდეგი საფარმოვო აპარატები:

1. გრემილ ავეჯეულობის ქარხანა სადურგლო განყოფილებით და საავეჯო მალაჩიით
2. ხე-ტყის სახეხი ქარხანა
3. შოვის საფარო
4. ფოთის ხე-ტყის დამამუშავებელი რაიონი შემდეგი წარმოებებით:
  - ა) № 1 ხე-ტყის სახეხი ქარხანა შლ. კაპაჩინის, ნავიჩხუდ,
  - ბ) № 2 " " " " " სოფ. ყულეფში, "
  - გ) № 1 " " " " " დაბა ანაქლიაში,
  - დ) № 2 " " " " " "
5. სვანეთის ხე-ტყის დამამუშავებელი რაიონი ხე-ტყის სახეხი ქარხნით სოფ. შამგონაში.
6. ლანჩხუთის ხე-ტყის დამამუშავებელი რაიონი ხე-ტყის სახეხი ქარხნით სოფ. ლანჩხუთში.
7. ხაშურ-შორაპანის ხე-ტყის დამამუშავებელი რაიონი სოფ. შოლითში.
8. ხე-ტყის სახეხი ქარხანა სოფ. წაბლარას ხეში.
9. ხე-ტყის სახეხი ქარხანა ქალ. ხონში.
10. ხე-ტყის სახეხი ქარხანა სოფ. ნატანეში.
11. ხე-ტყის საფარო ქალ. ქუთაისში და
12. ხე-ტყის საფარო ქალ. ზიათურაში.

### ამჟამად:

გრემილ და სადურგლო ავეჯეულობას, ხე-ტყის ყოველგვარ ჯიშის და ზომის მასალას, შეშას, ტრავეზებს, ტელეფონის ბოძებს, საკანკე ფიცრებს, სამაღლო ქალებს, კულტურულ კაქოსს, ბზას, საექსპორტო და სარეზინანსო მასალას და სხვა.

### ღებულობს

სხვადასხვა შეკეთების ბითუვად და ნაწილობრივ შესრულებას დაკლებულ მტკიცე ფასებში.

ცნობიანათვის უნდა მიმართო: ქ. ტფილისი, მარგალის ქ. № 1, ბელ. № 13-66.

**ფოტოგრაფი კ. ნიკოლენკო**

**სინათლითმწერის სახელობა**

ტფილისი, პლენიონის პრ. 107, „წიგ“-ს (ყოფ. ვეტცელის) სასტუმროს გვ.

ასრულებს ყოველგვარ  
სამხატვრო-საფოტო-  
გრაფიკულ საუშაროს,  
პორტრეტებს, ჯგუფებს,  
ფოტომასივებს და სხ.

**აღიღებს სურათებს**

ფოტოგრაფია ღია ყოველდღე 10-5 ხ 1-1

**ფოტოგრაფია ვ. შვანიანი**

(რუსთაველის პრ. № 8, „ზარია ვასტოკა“-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ  
საფოტო-გრაფიკულ საუშაროს  
სუფთად,  
ხელოვნურად,  
სწრაფად.

8-5